



სამედიცინო

გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი
გამოდის 1957 წლიდან

№ 10-11(358-359) ნოემბერი-დეკემბერი, 2022 წელი



გზაოქავს ასაკი
2023 წელს!



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია: ჯანმრთელობა, წარმატება, წინსვლა და კეთილდღეობა მინდა ვუსურვო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალს, საუნივერსიტეტო კლინიკების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების თანამშრომლებს, ყველას, ვინც გულშემოთმობს და უყვარს სამედიცინო განათლების ეს ამაყი, ტრადიციებით მდიდარი და ბრწყინვალე მომავლისთვის მებრძოლი კერა. ბედნიერი იყოს ჩვენი სამშობლო, რომლის წიაღშიც იღვწის და დაუღალავად შრომობს ჩვენი სასახლო უნივერსიტეტი.

832-3



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი „საქართველოს უნივერსიდა - 2022“-ის გამარჯვებულია.

834



თბილისის მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალზე „ნილაბი - 2022“, თსუ-ის თეატრ „ჰიგას“ სტუდენტ-მა მსახიობებმა ყველაზე მეტ ნომინაციაში გაიმარჯვეს: ქალის კომედიური როლის საუკეთესო შემსრულებელი და ფესტივალში მონაწილე თეატრალური დასების რჩეული ფეფე გოგნაძე გახდა; მამაკაცის კომედიური როლის საუკეთესო შემსრულებელი – გიორგი თაბაგარი; ქალის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებელი – ანანო სიღამონიძე; მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებელი – გიორგი სანიკიძე.
რეჟისორ გოგი თოდუას ოჯახმა დაანესა ფულადი პრემია, რომელიც გოგი თოდუას სახელობის საპატიო პრიზთან ერთად გადაეცა ბახვა გელაშვილს.

838



პაციენტების უწყვეტი მკურნალობა

ნოემბერში ქ. ატლანტაში (ჯორჯია, აშშ), ემორის უნივერსიტეტში, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაგრძელების მიზნით, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე და ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კონსულტანტი, პროფესორი არჩილ უნდიაშვილი.

ვიზიტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციამ შეხვედრები გამართა ემორის უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალთან; კერძოდ, თსსუ-ის წარმომადგენლები შეხვედრენ: ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანს, პროფესორ ვიკას სუკატმეს, ასოცირებულ დეკანს, პროფესორ ბილ ილის, ასისტენტ-დეკანს, პროფესორ გორდონ ჩერჩვორდსა და ემორის უნივერსიტეტის ვიცე-პროვოსტს, პატრიკ ვინერაიტს.



შეხვედრაზე თსსუ-ის დელეგაციამ მასპინძლებს დეტალურად წარუდგინა საქართველოში ემორის უნივერსიტეტისა და თსსუ-ის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად განხორციელებული და მიმდინარე პროექტების ანგარიში, აგრეთვე, განიხილეს სამომავლო გეგმები და ამ გეგმების განხორციელებასთან დაკავშირებული საჭიროებები. ამავე დროს, ხაზი გაესვა თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებისთვის ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში კლინიკური როტაციის ხელშეწყობის გაზრდის საკითხებს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ემორის უნივერსიტეტსა და თსსუ-ს შორის არსებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.

ბის კოორდინატორთან, ისაია ქეთლისთან, შეხვედრისას ხაზი გაესვა თსსუ-ის სტუდენტების უწყვეტი მკურნალობის მნიშვნელობის შესახებ. სწორედ ბატონი ისაია ქეთლის ხელმძღვანელობს თსსუ-ის სტუდენტების ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში კლინიკურ როტაციას, უზრუნველყოფს განრიგის შედგენას და სტუდენტების განათავსებას სხვადასხვა კლინიკაში.

შეხვედრაზე თსსუ-ის დელეგაციამ მასპინძლებს დეტალურად წარუდგინა საქართველოში ემორის უნივერსიტეტისა და თსსუ-ის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად განხორციელებული და მიმდინარე პროექტების ანგარიში, აგრეთვე, განიხილეს სამომავლო გეგმები და ამ გეგმების განხორციელებასთან დაკავშირებული საჭიროებები. ამავე დროს, ხაზი გაესვა თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებისთვის ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში კლინიკური როტაციის ხელშეწყობის გაზრდის საკითხებს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ემორის უნივერსიტეტსა და თსსუ-ს შორის არსებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.

ალსანიშნავია, რომ თსსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე, თსსუ-ის 300-მდე სტუდენტმა და აკადემიურმა პერსონალმა გაიარა სტაჟირება ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის სასწავლო დეპარტამენტებში, საუნივერსიტეტო და აფილირებულ კლინიკებში. სამუშაო შეხვედრებზე, რომლებზეც თსსუ-ის დელეგაციამ აღნიშნული კლინიკების ხელმძღვანელ პირებთან – პროფესორ რინარდ პარესთან, პროფესორ ტოდ ვილიამსონთან, პროფესორ კლიოტ გოზანსკისთან, პროფესორ ანა პარესთან გამართა, დაისახა სამომავლო თანამშრომლობის ასპექტები და განვითარების გეგმები.

თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, კანცლერი ზურაბ ორჯონიკიძე და ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კონსულტანტი, პროფესორი არჩილ უნდიაშვილი, ასევე, შეხვედრენ ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის მინაგანი მედიცინის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ დანიელ რესლერს. შეხვედრისას, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტთა სწავლების პროცესში ემორის პროფესორების უშუალო ჩართულობის მნიშვნელობასთან ერთად, საუბარი შეეხო სასწავლო პროცესში ემორის უნივერსიტეტის უფროსი რეზიდენტების მონაწილეობის საკითხსაც.

ემორის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სრული მზაობა გამოხატა აღნიშნულთან დაკავშირებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ემორის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელების მიზნით, მინისტრი, ბატონი მიხეილ ჩხენკელი, საპასუხო ვიზიტით ატლანტაში მიიწვია.



ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებულ დეკანთან კლინიკური განათლების მიმართულებით, პროფესორ სტეისი ჰენრითან და მის ასისტენტთან, სტუდენტთა სამსახურის არჩევითი აკადემიური პროგრამე-

პროფესორი ჯინი ბანისონი თსსუ-ში

ნოემბრის თვეში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ჰანოვერის (გერმანია) სამედიცინო უნივერსიტეტის ლაიპციხის ბიოტექნოლოგიისა და ხელოვნური ორგანოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (LEBAO) ხელმძღვანელი, პროფესორი ჯინი ბანისონი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოლეკულური დიაგნოსტიკის და ბიოტექნოლოგიების სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი მარინა ფორჩუვა ეწვივნენ. დელეგაციას უმასპინძლეს: თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა სოფიო ბახტაძემ; რექტორის აპარატის უფროსმა ირინა კაპე-

ტივაძემ; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თინათინ კლასონიამ და EXSMUS+-ის პროგრამის ინსტიტუციურმა კოორდინატორმა ნინო კანდელაკმა. შეხვედრაზე თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა სოფიო ბახტაძემ, სტუმრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უახლესი მიღწევები გააცნო. ასევე, განიხილეს გერმანიის აკადემიური გაცვლების სამსახურის (DAAD) პროექტის – „პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის“ (2023-2026 წ.წ.) ფარგლებში მომავალი ურთიერთ-თანამშრომლობის პერსპექტივები.

ჩივილიზებული მკურნალობის დღი წარმატება

2022 წელს თბილისისა და ინსბრუკის დამეგობრებიდან 40 წელი გავიდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, ინსბრუკის სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტს, მანანა გიორგაძეს, დაენიშნოს კვლევითი სტიპენდია (9 თვის განმავლობაში 10.000 ევრო). კვლევა – „თერაპიის ახალი მეთოდები პაციენტებისთვის ტვინის მრავლობითი მეტასტაზებით; ჰიპოკამპის დამზოვავი დასახივება და სტერეოტაქსიკური რადიოქიურგია“ შესრულება ინსბრუკის სამედიცინო

უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე. აღნიშნულ კვლევას ხელმძღვანელობს თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის რადიაციული თერაპიისა და რადიოთერაპიის ცენტრის უფროსი ექიმი ირმა კვიციანიძე. „ქალბატონი ირმა თავდაუზოგავი შრომითა და მონდომებით საშუალება მომეცა, ჯერ კიდევ სტუდენტობისას სტაჟირება გამეწყო ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკაში, ხოლო ახლა, თსსუ-ის დამთავრების შემდეგ, დავბრუნებოდი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკას, არა როგორც სტუდენტი, არამედ როგორც ექიმი და მკვლევარი“, – აცხადებს თსსუ-ის რეზიდენტი მანანა გიორგაძე.



ვიზიტი ანაწინა

2022 წლის 14 დეკემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ არმენ მურადიანის მოწვევით, იმყოფებოდა ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: თსსუ-ის რექტორი, ბავშვთა და მოზარდთა ცხრა-სახის ქირურგიისა და ქირურგიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია; თსსუ-ის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ხათუნა თოდაძე; თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე; თსსუ-ის ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კონსულტანტი, პროფესორი არჩილ უნდიაშვილი და თსსუ-ის რექტორის აპარატის უფროსი ირინა კაპეტივაძე.



ვიზიტის ფარგლებში შედგა სამუშაო შეხვედრა მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ არმენ მურადიანთან, ვიცე-რექტორებთან, რექტორის აპარატის უფროსთან, ფაკულტეტების დეკანებთან, კარიერული განვითარების სამსახურის უფროსთან, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსთან და ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან. შეხვედრისას განიხილეს უნივერსიტეტებს შორის შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები განათლების, მეცნიერებისა და კლინიკური საქმიანობის მიმართულებით.

დაინტერესებული ვართ ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გაგრძელებით; დარწმუნებული ვარ, რომ პროფესორ არმენ მურადიანის ხელმძღვანელობით ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს“, – აღნიშნა პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ.

იმევე დღეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია მიიწვიეს ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე. სხდომაში მონაწილეობისას, ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია წარადგინა ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ნოდებაზე, რაც ერთხმად მიიწვიეს და დაამტკიცეს საბჭოს წევრებმა. პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ მადლობა გადაუხადა ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ არმენ მურადიანს და აკადემიური საბჭოს წევრებს ამ დიდი პატივისთვის და განაცხადა, რომ ის სიამაყით ატარებს მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ნოდებას.

ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა მეცნიერების მიმართულებით, პროფესორმა კონსტანტინე იენკოიანმა გააკეთა პრეზენტაცია ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიის, სტრუქტურისა და მიღწევების შესახებ.

ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციამ დათვალიერა ტვინის კვლევის სამედიცინო-საგანმანათლებლო ცენტრი „COBRAIN“, საგამოცდო ცენტრი, სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების საბაზტო გამოცენა. ვიზიტის ფარგლებში, თსსუ-ის წარმომადგენლები ეწვივნენ ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრსა და ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიქაელანჯლოს სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკას. შეხვედრენ კლინიკის გენერალურ დირექტორს, დეპარტამენტების ხელმძღვანელებს; გაეცნენ კლინიკაში სასწავლო პროცესისა და კლინიკური საქმიანობის მიმდინარეობას.

თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე დაინტერესდა სტომატოლოგიის ფაკულტეტზე სწავლების პროცესით, რაზეც ამომწურავი პასუხი მიიღო ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორ ლაზარ იესაიანისგან. თავის სიტყვაში, პროფესორმა მარინა მამალაძემ ხაზი გაუსვა სოფიო და ქართველი სპეციალისტების საერთაშორისო პლატფორმებზე ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ მადლობა გადაუხადა ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ არმენ მურადიანს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს თბილი დახვედრისთვის. „ჩვენ ძალიან

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ მადლობა გადაუხადა ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ არმენ მურადიანს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს თბილი დახვედრისთვის. „ჩვენ ძალიან

სადეპარტამენტო კონსულტაციის აკადემიური კლინიკაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ სოფიო ბახტაძის, ინიციატივით, თსსუ-ის გვიგ თხიანის სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას კუმბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ბრიტანეთის პედიატრიული ნევროლოგიის აკადემიის პრეზიდენტი ალასდაირ პარკერი ეწვია, რომელმაც ჩაატარა სალექციო კურსი, რომლის პირველი, პრაქტიკული ნაწილი, ბავშვის ნევროლოგიური გასინჯვის საკითხებს დაეთმო.

ლიც ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, თინათინ კუტუბიძემ, წარმოადგინა.



სალექციო კურსის მეორე ნაწილში პროფესორმა პარკერმა წაიკითხა ლექცია – „ფუნქციური დარღვევების დიფერენციალური დიაგნოსტიკა ბავშვთა ასაკში“. ასევე განხილული იყო რთული კლინიკური შემთხვევები, რომე-

ამევე დღეს, პროფესორ პარკერთან შეხვედრა გამართეს და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა სოფიო ბახტაძემ და თსსუ-ის გვიგ თხიანის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ლია ძიძიგურმა.

თსსუ-ის მოწვეული პროფესორის, სტომატოლოგიის აკადემიური დოქტორის, ოთარ ვადაჭკორიას, ღვაწი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, თსსუ-ის მოწვეულმა პროფესორმა, სტომატოლოგიის აკადემიურმა დოქტორმა, ოთარ ვადაჭკორიამ, რომელიც კლინიკურ საქმიანობას გერმანიაში, მიუნხენში, ეწევა, სტომატოლოგიის ფაკულტეტის მეცნიერ და მეთავე სემესტრის სტუდენტებისთვის ჩაატარა ლექცია თემაზე: – „ციფრული ტექნოლოგიები გამოყენება ორთოპედიაში სტომატოლოგიაში: დაავადებათა მართვის კონცეფცია, კლინიკური შემთხვევების განხილვა და ანალიზი“ (I და II ნაწილი). ლექციას, გარდა სტუდენტებისა, ესწრებოდნენ რეზიდენტები, ექიმები და თსსუ-ის აკადემიური პერსონალი.

ნოლოგიებს შორის. დღეს ციფრული ტექნოლოგიების განვითარება სტომატოლოგიის განუყოფელი ნაწილია. ვფიქრობ, ლექციამ წარმატებით ჩაიარა, ინტერესი დიდი იყო, სტუდენტებმა ძალიან საინტერესო შეკითხვები დასვეს. ბედნიერი ვარ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორად ვარ არჩეული და მაქვს პატივი, საზოგადოებას ვაფუზიარო ჩემი გამოცდილება. ვიმედოვნებ, მომავალში კვლავ მექნება სამუშაო, ჩავატარო ლექციები“, – განაცხადა პროფესორმა ოთარ ვადაჭკორიამ.



გიორგი ახალაია!



ყოველი წლის ბოლოს, ტრადიციულად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **გიორგი ახალაიას** ვთხოვთ, შეაფასოს განვლილი წელი: რა გაკეთდა ახალი, რა იყო მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და რამდენად გამართლდა მოლოდინები.



როგორ შეაფასებთ გასულ 2022 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის?

კარგად მახსოვს, შარშან, როცა იგივე კითხვა დამისვით, ვსაუბრობდი პანდემიისა და მის შედეგებზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცხოვრებაზეც, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოზე, მკვეთრად აისახა. წელს, სამწუხაროდ, ისევ უნდა აღვნიშნო, რომ 2022 წელი ძალიან რთული იყო მსოფლიოსთვის და ამის მიზეზი ის იყო გახლავთ, რომელიც უკრაინაში დაიწყო და რომელმაც მსოფლიო შექრა. ომის თანმდევი კომპლექსურმა პრობლემებმა უაღრესად რთული გამოწვევების წინაშე დააყენა ყველა ქვეყანა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წიაღში ყალიბდებოდა: სამედიცინო სფეროს სპეციალისტები, ექიმები, ექთნები, ფარმაცევტები, რეაბილიტოლოგები... მოგვსვენებთ, ამ პროფესიის ადამიანები განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძობენ ომის პერიოდში და, სამხედრო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ყველაზე მძაფრად შეიგრძნობენ ომის სისასტიკეს, თავის თავზე იღებენ უმძიმეს დარტყმებს... ცხადია, ჩვენ ძალიან კარგად გვეხმის, რა ჯოჯოხეთში უნვეთ ცხოვრება ომის პირობებში მყოფ ჩვენს კოლეგებს, საერთოდ, ყველას. როგორც შეგვძლო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმაც გამოიხატა სოლიდარობა და მხარდაჭერა. 2022 წლის 2 მარტიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის ინიციატივით, უკრაინის მოქალაქეთა დასახმარებლად, საქველმოქმედო ჰუმანიტარული აქცია დაიწყო, რომლის ფარგლებში, პირველადი მოხმარების ნივთები, მედიკამენტები, ტრანსპორტი, საკვები პროდუქტები შეგროვდა და უკრაინაში გაიგზავნა. საქველმოქმედო აქციას თსსუ-ის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, რეზიდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და თსსუ-ის კლინიკების თანამშრომლები შეუერთდნენ. აქვე აღვნიშნავ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და შპს „თსსუ-ისა და ინგოროვას“ მალალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკაში უკრაინის მოქალაქეებისთვის სისხლის უანგარო დონაცია განხორციელდა.

გასული წლის შეფასებისას, საუბარი ამ ომით რომ დაიწყო, ბუნებრივი და გასაგებია. საუნივერსიტეტო ამბებს რომ დავუბრუნდეთ, რა გზა გაიარა თსსუ-მა 2022 წელს?

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სწორი მიმართულებით ვითარდება. ამის შედეგია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი განათლების აძლევს საერთაშორისო სტუდენტებს მსოფლიოს უკვე 81 ქვეყნიდან, რომელთა რიცხვაც 3000-ს გადააჭარბა. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარება და ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს, რაც გლობალური ცვლილებების ეპოქაში, უნივერსიტეტის მომავალი განვითარების აუცილებელი პირობაა. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების თავდადება და ყოველდღიური შრომა ჩვენი უნივერსიტეტის წინსვლის საფუძველი იყო მუდამ.

2019 წლის მაისიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციონის სამედიცინო განათლების ევროპული ასოციაციის – AMEE-ის წარმომადგენლობა საქართველოში – AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი. აღსანიშნავია, რომ ასეთი ცენტრი მსოფლიოში მხოლოდ ჩინეთსა და საქართველოშია; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2012 წლიდან მოქმედებს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, ვინცევი პროფესორებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ლექციების,

პრაქტიკული მეცადინეობების, საჩვენებელი ოპერაციებისა და პაციენტთა კონსულტაციების ჩასატარებლად. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ თსსუ-ში სწავლა საერთაშორისო სტუდენტებისთვის არცთუ იაფია და ბევრ ქვეყანაში არსებულ სწავლის საფასურზე გაცილებით მაღალიცაა, თსსუ-ის ავტორიტეტი აქ სწავლის მზარდი მოთხოვნის ძირითადი საფუძველია.

სწავლების მაღალ დონეს უზრუნველყოფს ისიც, რომ სამედიცინო უნივერსიტეტს საკუთარი მძლავრი კლინიკური ბაზები აქვს (3 ჰოსპიტალი და 3 სტომატოლოგიური კლინიკა). ამ ბაზების გარდა, ჩვენი სასწავლო დეპარტამენტები სხვადასხვა კლინიკაშია განთავსებული. მინდა აღვნიშნო კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც განთავსდა თსსუ-ის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტები. ყოველივე ეს თითოეული უნივერსიტეტის მიღწევად და საფუძველია იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლება ყოველწლიურად უფრო და უფრო მაღალ სტანდარტს აკმაყოფილებს.

ცოტა ხნის წინანდელ ამბავს შეგახსენებთ: თსსუ-ში სტაჟირებაზე იყვნენ ავსტრიელი სტუდენტები და მათგან ძალიან კარგი გამოხმაურებები აქვს თსსუ-ის დეპარტამენტებს, პროფესორებს. ამის შესახებ თსსუ-ის საპატიო დოქტორმა, ინსტრუქტორმა სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის რადიაციული თერაპიისა და რადიონეკროლოგიის ცენტრის უფროსმა ექიმმა, ირმა კვიციანიძემ აღნიშნა: „სტუდენტები საუკეთესო შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან უკან, ავსტრიის; უზარებენ კოლეგებს საქართველოში მიღებულ გამოცდილებას და გამოთქვამენ კვლავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის სურვილს, რამდენიმე კი ისიც აღნიშნა, რომ ისურვებდა, მედიცინის სწავლა საქართველოში გაეგრძელებინა“.

ეს შეფასება ძალიან სასიხარულოა, თუმცა, მოულოდნელი არ ყოფილა. სწორედ ამისკენ მიდის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომ მედიცინის სწავლების მაღალი დონით გამოჩენილი, ევროპის ქვეყნების ახალგაზრდებისთვისაც მიზიდვლი გახდეს. ეს ხომ წარმატების შეფასების უტყუარი საშუალებაა.

ინფრასტრუქტურის განვითარება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში არ შეწყვეტილა. რა შეემატა თსსუ-ის ინფრასტრუქტურას?

პერმანენტულად მიმდინარეობს უნივერსიტეტში სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მეორე სართულზე უკვე ფუნქციონის საბჭოების სხდომათა ახალი დარბაზი; მის მიმდებარე ფოიეში, რეკონსტრუქციის შემდეგ, განთავსდა კაფეტერია, დაიდა შესაბამისი ავეჯი... ეს რეკონსტრუქციის სივრცე სტუდენტებისთვის საყვარელ ადგილად იქცა. ასევე, რეკონსტრუქციის სივრცეები მოეწყო სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის ადმინისტრაციული კორპუსისა და სასწავლო კორპუსების მიმდებარე.

თსსუ-ის ინფრასტრუქტურის გამართული და უსაფრთხო მუშაობისთვის მნიშვნელოვანია, რომ დასრულდა თსსუ-ის სასწავლო კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ელექტროქველადგურების რეაბილიტაცია.

მიმდინარეობს თსსუ-ის პირველი სასწავლო კორპუსის ფოიეს თავზე სტუდენტური კაფეტერიის დაშენების და ფასადის, თსსუ-ის მეორე და მესამე სასწავლო კორპუსების სახურავების, ასევე, ადმინისტრაციული კორპუსის მეორე სართულის დერეფნის და მეოთხე სართულის სარემონტო სამუშაოები; ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტერიტორიაზე ჩატარდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ, 3000 კვ.მ. მიშენება მიემატა კლინიკას, განხორციელდა ეზოს სრული რეაბილიტაცია, მოეწყო ავტოსადგომები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის და სოფელ თელეთის ტერიტორიაზე 45 ჰექტარი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შემოიღება. მიმდინარეობს არსებული ტერიტორიის გეგმარება სასწავლო საწარმოო ბაზის ასაშენებლად.

2022 წელს კონკურსის პრობებში თსსუ-ის მიერ შექმნილ მინაზე, თბილისში, სანდრო ეუ-

ლის ქუჩაზე, გამარჯვებული კომპანია ააგებს 12 000 კვ.მ. ფართის მრავალფუნქციურ მენობას, სადაც განთავსდება ამპულატორია, სტომატოლოგიური კლინიკა, OSCE-ის ორი საგამოცდო ცენტრი და მოეწყობა სასწავლო აუდიტორიები. ამჟამად მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები.

გარდა ამისა, უამრავი რამ გაკეთდა და კეთდება, რისი ჩამოთვლაც შორს წავიყვანს...
– 2022 წელი საუბრული იყო თსსუ-ის ირველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტისთვის...

– დაიბ, და ჩვენ განსაკუთრებულად მიულოცეთ მათ ეს თარიღი. თსსუ-ის ირველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი უკვე 90 წლისაა და ქვეყნის და რეგიონის ლიდერია ბუნებრივი რესურსების კვლევაში, რასაც მონაშობს არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო აღიარება. სექტემბერში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „ქართული მეცნიერული ფარმაცია: წარსული და აწმყო“ და აღინიშნა ოუბილე.

ინსტიტუტი წარმატებულ სამეცნიერო თანამშრომლობას ეწევა უცხოეთის არაერთ ნამყვან უნივერსიტეტთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან, სადაც სტაჟირება გაიარა ინსტიტუტის ათეულობით თანამშრომელმა, დოქტორანტმა და მაგისტრმა; შესრულდა ერთობლივი სამეცნიერო პროექტები, სადისერტაციო ნაშრომები, რაც აისახა ერთობლივ გამოქვეყნებულ შრომებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

– რას გვეტყვი თსსუ-ის კლინიკებზე – როგორი იყო გასული წელი კლინიკებისთვის?

– საბოლოოდ მოგახსენებთ, რომ თსსუ-ის კლინიკებში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც ხელს შეუწყობს მათ კიდევ უფრო მაღალ დონეზე ფუნქციონის, შესაბამისად, სასწავლო პროცესის სრულყოფასაც.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში: ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიული განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ნეიროდიაგნოზის დეპარტამენტი; გაიხსნა ჰემატოლოგიური განყოფილება 12 საწოლზე; მუშაობა განახალა ონკოქირურგიულ განყოფილებამ და კლინიკას შემოუერთდა ბრელი ქსოვილების ექიმ-ონკოლოგი; ახალგაზრდობებზე სივრცეში განთავსდა სრულად აღჭურვილი ენდოსკოპიური განყოფილება; გაფართოვდა პერინატოლოგიის დეპარტამენტი; კლინიკა აღიჭურვა ძვირადღირებული აპარატურით. შევიძინეთ აუდიოტორიის აპარატი და კლინიკაში აუდიო-მეტრიის კაბინეტი უკვე წარმატებით ფუნქციონის (მსგავსი სერვისის მინიჭება თბილისის მხოლოდ რამდენიმე კლინიკაში ხორციელდება).

გივი ფვანას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკაში გაიხარდა კლინიკის საწოლ-ფონდი ახალ შენობაში განთავსდა ნეონატალური სამსახური.

კლინიკა აღიჭურვა ძვირადღირებული სამედიცინო დანიშნულების მონაცემთა მართვის (ნეხები აირის კომპრესორი და პლამბური სტერილიზატორი).

მნიშვნელოვანია, რომ თსსუ-ის გივი ფვანას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკაში მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო, სარემონტო და აღჭურვილი სამუშაოები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული სამშრობი მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობით; ექსპლუატაციაში შევიდა გივი ფვანას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის მეორე კორპუსი, რომელშიც იგეგმება პალიატიური მოვლის სერვისის გახსნა.

ცვლილებებმა შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროვას“ მალალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკაშიც – გაიხსნა ზაფხუთა ჰემატოლოგიის, ონკოლოგიის და იმუნოლოგიის დეპარტამენტი და ონკოპათოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების მკურნალთა მართვის საერთო გადამალის გათვალისწინებით, ყველა პროტოკოლის დაცვით ხორციელდება.

როგორც გითხარით, ყველა ცვლილება ემსახურება სამედიცინო მომსახურებისა და სწავლების სრულყოფას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიმდინარე აკადემიური პროცესისთვის, ისე ქვეყნისთვისაც...

– თსსუ-ის ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ერთობლივი ძალისხმევით, ჯანსაღი ცხოვრების წესი ყველა თსსუ-ელისთვის უფრო და უფრო ბუნებრივი და ახლებურად ხდება. შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები ჯანსაღი ცხოვრების დესპანები არიან.

– ეს ძალიან მემამყება. იცით, რომ თამბაქოს მოწევა სასტიკად აკრძალულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კორ-

პუსებსა და ტერიტორიაზე. ჯანსაღი ცხოვრების წესის გავლენა თვალნათლივ იგრძნობა ყველგან. თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ორგანიზებით, „თბილისის სტუდენტური ფესტივალი-2022“ გაიმართა, რისი ფარგლებშიც, სპორტის 15 სახეობაში ტურნირები ჩატარდა. ფესტივალში მონაწილეობა საქართველოში მოქმედი 34 სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლის 50 000-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო. სტუდენტურ ფესტივალზე მოპოვებული პირველი ადგილების მიხედვით ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა და საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და, ფესტივალის ფორის გადამწყვეტილებით, გამარჯვებულად სწორედ ეს ორი უმაღლესი სასწავლებელი დასახელდა.

მინდა, სულ ბოლო წარმატების შესახებაც აღვნიშნო: საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა „საქართველოს უნივერსიტეტ-2022“, რომელშიც 34 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 5000-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი „საქართველოს უნივერსიტეტ-2022“-ის გამარჯვებული გახდა – ჩვენმა სტუდენტებმა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს. თუ აქამდე ვამაყობდით იმით, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩასარიცხად საჭირო ყველაზე მაღალი ბარიერის არსებობის გამო, ჩვენთან საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი სწავლობს, ახლა უნდა ვიამაყოთ იმითაც, რომ ჩვენ, ასევე, გვყავს საუკეთესო სპორტმენები და ჩვენმა სტუდენტებმა იციან ცხოვრების ჯანსაღი წესის ფასი.

– თსსუ-ის სტუდენტები ხელოვნებაშიც ძალიან წარმატებული არიან. მათ სტუდენტურ თეატრალურ ფესტივალ „ნილაში“ არაერთი პრიზი აიღეს...

– დაიბ, ეს ძალიან საამაყოა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამაყობს სტუდენტური თეატრი „ჰიგიათი“, რომლის რეჟისორი, ასოცირებული პროფესორი, ნათია გუჯაბიძე 20 წელს მაყურებლებს ანებივრებს მაღალრეიტინგული სპექტაკლებით. წელსაც საუკეთესო სპექტაკლი წარმოადგინეს – მიუზიკლი „ძველი თბილისის მლოდები“. თბილისის მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალზე „ნილაში 2022“, ამ სპექტაკლში მონაწილე სტუდენტმა მსახიობებმა ყველაზე მეტ ნომინაციაში გაიმარჯვეს. ასევე, რეჟისორი გივი თოდუასი ოჯახმა დაანერგა თეატრი, რომელიც გივი თოდუასის სახელობის საპატიო პრიზთან ერთად გადაეცა ბახვა გელაშვილს.

შეგახსენებთ, რომ „თბილისის სტუდენტურ ფესტივალ-2022“-ზე, ტრადიციულად, პირველობა არავის დაუთმო თსსუ-ის კულტურის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებულმა ანსამბლმა, რომელმაც გამარჯვება ორ ნომინაციაში მოიპოვა: საუკეთესო ქართული ცეკვა და საუკეთესო ხალხური სიმღერა.

– დაბოლოს, მოახლოებულია ახალი წელი და შობა, როგორი თქვენი სასახლწლო სურვილები და მილოცვა თსსუ-ის დიდი ოჯახის წევრებისთვის?

– ჩემი სასახლწლო სურვილები ყოველთვის უცვლელია: ჯანმრთელობა, წარმატება, წინსვლა და კეთილდღეობა ჰქონდეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალს, საუნივერსიტეტო კლინიკების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების თანამშრომლებს, ყველას, ვინც გულშემატკივრობს და უყვარს სამედიცინო განათლების ეს ამაყი, ტრადიციებით მდიდარი და ბრწყინვალე მომავლისთვის მებრძოლი კერა;

ბედნიერი იყოს ჩვენი სამშობლო, რომლის წიაღშიც იღვწის და დაუღალავად შრომობს ჩვენი სასახლო უნივერსიტეტი; მინდა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის სახელი ამაყად, ამ დიდი ოჯახის მსახურებაში დაუღალავად ვახტრო და მრავალი წლის შემდეგაც კი, როცა ვაჟა-ფშაველას ნაწიროზე მდგარ უნივერსიტეტს, რომელშიც თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება გაატარე, გვერდით ჩავუვლი, ყოველთვის მეთქმოდეს: ბედნიერი ვარ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ღირსეული სახელითა და მომავლით!



შრომა და მიზანდასახულობა – გზა დასახულ მიზანამდე

რამდენიმე თვის წინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა ახალი გუნდის შემადგენლობით მოვიდა. გავსაუბრეთ სტუდენტური თვითმმართველობის ახლად არჩეულ პრეზიდენტს, მედიცინის ფაკულტეტის მეთერთმეტე სემესტრის სტუდენტს, ლადო გაბეჩავას, რომელიც სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებზე გვესაუბრა:



— სტუდენტურ გუნდს ჩაუდევს სათავეში, საინტერესოა შენი ხასიათის რომელი თვისება გამოყოფს, რამაც საშუალება მოგცა, კარგად გაგეთავისებინა ის პასუხისმგებლობა, როგორცაა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი?

— საკუთარ თავზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ, ზოგადად, იმისთვის რომ გამოჩვენებდე თავი გარეთა, აუცილებელია შრომა და მიზანდასახულობა. ბევრი წინააღმდეგობა გეხვევა, მაგრამ დანებების უფლება არ გვაქვს, აუცილებელია, თავიდან არ გავდევო და შედეგი აუცილებლად დადგება. მეც ასე ვიქცევი, მეუპოვრად ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს და ვცდილობ, მაქსიმუმში გავაკეთო სტუდენტობისთვის. ამასთანავე, ზურგს მიმაგრებს შრომის მოყვარე და ნიჭიერი ადამიანებისგან დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც მეხმარება აღნიშნული სირთულეების გადალახვასა და სტუდენტობისთვის საინტერესო და დაუფიქსირი სტუდენტური ცხოვრების შექმნაში.

ჩემთვის, მაგრამ, გარდა აქტიური სტუდენტური წლებისა, ჩვენი მთავარი მოვალეობა არ გვაჩვენდება. ამის ნათელი მაგალითია კოვიდახდენია, როდესაც მეც, ისევე როგორც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობა, ჩართული ვიყავი ამ ვირუსთან ბრძოლაში. ეს იყო ახალი და საინტერესო გამოწვევა. იყო სრულიად მოხალისეობრივი და ჩვენი ჩართულობით ვცდილობდით კოლეგების გამხმარებას, მათ გვერდში დგომას და, რაც მთავარია, საერთო ძალებით მოსახლეობის დახმარებას - მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვას. ზოგადად, დასამახსოვრებელი მომენტები არის ის, როცა შენი შრომის შედეგს ხედავ. არის პროექტები, რომლებსაც ვგეგმავთ კვირების განმავლობაში და როცა ხედავ, შენი მონდობა საუკეთესო შედეგს მიმოქანია, განსაკუთრებით გვაძაყება. როდესაც იცი, რომ, თუნდაც, ერთ სტუდენტს დაეხმარე, ერთი საღამო გაულამაზე, ეს ღირს იმად, რომ დაულამაზედი გაგაგრძელო, რომ უკეთესი პროექტებისთვის.

თითოეულ ჩვენგანს უოცნებია და მედიცინის მიმართულებით იმგვარ საინტერესო დანერგვა, რომელიც, ერთი მხრივ, სტუდენტს დაეხმარება პროფესიულ წინსვლაში და, ამასთანავე, შეეძლებოდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

— რასთან ასოცირდება შენთვის სტუდენტობა?

— ჩემთვის სტუდენტური ცხოვრება ასოცირდება ორ მიმართულებასთან, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სრულყოფილი სტუდენტობა: პირველი, ეს არის აკადემიური პროცესი, რომელიც, ჩვენი მომავალი პროფესიიდან გამომდინარე, უფრო მეტადაა დატვირთული და, როგორც ჩემთვის, ასევე, ყველა სხვა სტუდენტისთვის, მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან განაპირობებს სწორედ ჩვენი კარიერულ განვითარებას; ამასთანავე, სამედიცინო უნივერსიტეტში, ზემოთ აღნიშნული კუროკულუმების გარდა, მეგულბა ერთი დიდი ოჯახი, სადაც მისვლა ყოველთვის მიხარია. ეს არის ერთიანი თბილი გარემო, სადაც ყველა მეგობრად აღიქვამს ერთმანეთს, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, აქ ყველა მოტივირებულია ურთიერთდახმარებაზე, რომ ერთიანი ძალებით უფრო მეტი შევქმნათ სტუდენტობისთვის. სწორედ ეს არის სტამბოლი ჩემთვის, რომ უფრო მეტს გაკეთება შევძლო.

— ახალი 2023 წელი დგება, როგორ იქნება შენი საახალწლო სურვილები, რას ურჩევდი სტუდენტებს?

— პირველსემესტრებზე შევანერგე ყურადღებას და მათ, პირველ რიგში, ვურჩევდი მაქსიმალურად დაეუფლონ ცოდნას, დასახულ მიზნებს რომ მიიღწიონ და არჩეულ პროფესიაში საუკეთესოები გახდნენ; ამასთანავე, სტუდენტური წლები ის პერიოდია, როდესაც საკუთარი თავი სხვადასხვა აქტივობასა და გამოწვევაში უნდა გამოცადო და გამოიყვანო კომპოტის ზონიდან, უკეთ შეიცნო საკუთარი პიროვნება და მიხედე, თუ რისი გავლენა გასურს ცხოვრებაში. მართალია, ყოველივე ამას, შესაძლოა, ბევრი შეცდომა მოჰყვას, მაგრამ, სწორედ, სტუდენტური წლებში დაშვებული შეცდომები გვეხმარება განვითარებაში. ჩვენ კი მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების შექმნას მაქსიმალურად შევეცდებით. თუმცა, აუცილებელია თქვენი მოტივაცია, რომ ამ ყველაფერში ჩაერთო, იყოთ უფრო მეტად გახსნილები, არ შეუშინდეთ ახალ გამოწვევებს და, დამერწმუნეთ, აუცილებლად შეძლებთ საკუთარ თავში ისეთი შესაძლებლობების აღმოჩენას, რასაც ვერასდროს ვერ წარმოიდგენდით და გაოცებულნიც დარჩებით.

— რა არის შენი მთავარი მიზანი, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი?

— ჩემს მთავარ მიზანს წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული სირთულის დაძლევა, ისეთი დაუფიქსირი და ემოციებით აღსავსე სტუდენტური ცხოვრების შექმნა, როგორც

დასაზრა პაპტირინა შუბიტიძე, ავღიანი ფაკულტეტის 6-7 სემესტრის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის ავღიანის ფაკულტეტის ხელმძღვანელი

თსუ „საქართველოს უნივერსიტეტი - 2022“-ის გამარჯვებულები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდები მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობენ. პროფესიის დაუფლებასთან ერთად, ისინი სპორტულ ღონისძიებებშიც აქტიურად მონაწილეობენ.



2022 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა თსუ-ის სტუდენტობისთვის. გაზაფხულზე ჩატარებული „თბილისის სტუდენტური ფესტივალი 2022“-ში მონაწილეობის შემდეგ, შემოდგომის სემესტრში თსუ-ის სტუდენტების ასპარეზობით და მიღწეული შედეგებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კვლავ „საქართველოს უნივერსიტეტი - 2022“-ის გამარჯვებულად დასახელდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდები მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობენ. პროფესიის დაუფლებასთან ერთად, ისინი სპორტულ ღონისძიებებშიც აქტიურად მონაწილეობენ.

„უნივერსიტეტი - 2022“-ის ფარგლებში გაიმართა კალათბურთის გრანდოულ ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა საქართველოს 34 საუნივერსიტეტო საკალათბურთო გუნდი. დიდი კონკურენციის მიუხედავად, თსუ-ის კალათბურთელებმა ღირსეულად მოიპოვეს მესამე ადგილი (მოთამაშეები: ირაკლი ჯგებაშვილი, ნიკა კობახიძე, აკაკი რობაქიძე, თორნიკე შანიძე, ილია ტომარაძე, ირაკლი ქოჩიაშვილი, გიორგი ბახტაძე, ლუკა ბირჩინაშვილი, ზაურ გრიგოლაშვილი, ნიკა მანჭულაშვილი, გიორგი ასათიანი; მწვრთნელები: ზურა მისურაძე, ლაშა ელბაქიძე).

ბოულინგში პირველადგილოსანი გუნდის წევრები არიან: რეზენე ფორჩხიძე, მოლინა იოსელიანი, გიგი გზოზაძე, ნუცა ფერაძე, ნინოცა ფრუიძე, Masur Fida Shaix.

ბადმინტონის ტურნირშიც გოგონების მონაწილეობა, I-II ადგილებზე გავიდნენ: ირინა კირიტიძე, შარიტონი ვინსენტი; ვაჟებში I-III ადგილი მოიპოვეს - შარი მანკარი დუაისამა და სუნდარ ვემულა მურალამა; რაც შეეხება მაგიდის ჩოგბურთს, გუნდური I ადგილი გიორგი ლიპარტიამ და ნინო ცოცხალაშვილმა დაიკავეს; იმ-

თსუ-ის სტუდენტები საქართველო ტურნირშიც გამარჯვებულნი გახდნენ. გოგონებიდან I ადგილი სალომე ხუცურაულმა მოიპოვა, II ადგილი კი - გიორგი კუსალეიშვილმა.

მიღწეულ გამარჯვებებში განსაკუთრებულად აღსანიშნავია თსუ-ის ადმინისტრაციის და სპორტის ცენტრის (დირექტორი ზაურ ფხალაძე) თანადგომა და ხელშეწყობა, რითაც არაერთი ნარმატივის მომხრენი გაეცხდით.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა მადლობას უხდის TRAILLAR-ის ნარმომადგენლებს ამ საუკეთესო შესაძლებლობისთვის და იმედს იტოვებს მომავალი თანამშრომლობისთვის.

ბაიათონი – ჰანსალი სპორტის წესი

13 ნოემბერს, სტუდენტური თვითმმართველობისა და TRAILLAR-ის ერთობლივი ძალისხმევით სტუდენტებს საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიეღონ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარბენში Tbilisi Hills Trail Race-ში. მასპინძელი გახლდათ Tbilisi Hills Golf & Residences. გარბენი სამ დისტანციას მოიცავდა: 1.18 კილომეტრი 750 მეტრი ვერტიკალური დისტანციით, 2.14 კილომეტრი 550 მეტრი ვერტიკალური დისტანციით, 3.9 კილომეტრიანი Fun Run 300 მეტრი ვერტიკალური დისტანციით.

მარშრუტი Tbilisi Hills-ის მთავარ მოედანზე იღებდა სტარტს და მიუყვებოდა თელეთის ქედს. გარბენის ბილიკის სხვადასხვა მონაკვეთიდან კი იმღებოდა თბილისის, კოჯრის ტყის, კუმისის ტბის და შავნაბადას მონასტრის ულამაზესი ხედები.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა მადლობას უხდის TRAILLAR-ის ნარმომადგენლებს ამ საუკეთესო შესაძლებლობისთვის და იმედს იტოვებს მომავალი თანამშრომლობისთვის.

„სტუდენტების ბრძოლა“

28 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტის მიერ, საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზატორ კომპანია „ბრენინს“-თან ერთად, საინტერესო ინტელექტუალური თამაში – „სტუდენტების ბრძოლა“ ჩატარდა. მასში 39 გუნდი მონაწილეობდა, საიდანაც გამარჯვება სამმა გუნდმა. პირველ ადგილზე გავიდა გუნდი – „ფილტვების ჩაქრობა“ (მონაწილეები: ნინო

ფანჩულიძე, ოთარ გიგოლაშვილი, დიმიტრი დგებუაძე, დემი მგალობლიშვილი, ავთანდილ უჯმაჯურაძე); მეორე ადგილი დაიმსახურა გუნდმა – „Cerebrum“ (მონაწილეები: ლია მანაგაძე, მათე გვეგუჩაძე, მიხეილ სეფაშვილი, რეზი კორძია, ეკა კურტიანიძე); მესამე ადგილზე გავიდა გუნდი – „სკუპუ“, შენთან ვართ ბიჭები“ (გიორგი გუგუშაძე, ლადი საბადაშვილი, სანდრო მეტრეველი).

Food Med Fest

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის თაოსნობით ჩატარდა Food Med Fest-ი.

ლორესიძეებმა წარიმართა ფაკულტეტის თაოსნობით შეჯიბრით. თითოეული ფაკულტეტის გუნდი შედგებოდა 6 მონაწილისგან, რომლებიც გუნდურ და ინდივიდუალურ დავალებებს ასრულებდნენ. შეჯიბრი 5 ეტაპისგან შედგებოდა მონაწილეებიც და გულშემატკივრებიც დაძაბულ ტურებში ასპარეზობდნენ. საბოლოო გამარჯვებული გუნდი იყო „სტუდენტების ბრძოლა“.

ლორესიძეებმა წარიმართა ფაკულტეტის თაოსნობით შეჯიბრით. თითოეული ფაკულტეტის გუნდი შედგებოდა 6 მონაწილისგან, რომლებიც გუნდურ და ინდივიდუალურ დავალებებს ასრულებდნენ. შეჯიბრი 5 ეტაპისგან შედგებოდა მონაწილეებიც და გულშემატკივრებიც დაძაბულ ტურებში ასპარეზობდნენ. საბოლოო გამარჯვებული გუნდი იყო „სტუდენტების ბრძოლა“.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვების ერთ-ერთ კრიტერიუმად გულშემატკივრების აქტიურობა ითვლებოდა, რომელშიც გამარჯვება მედიცინის ფაკულტეტს ერგო.

გვიჩვენე მოგზავდა ავღიანის ფაკულტეტის VII სემესტრის სტუდენტმა, ავღიანის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელმა, EMSA – თბილისის პრაქტიკის, ეპატარიჩა შუბიტიძე

სტუდენტთა საერთაშორისო დღე

1946 წლის 17 ნოემბერს, ჩეხი პატრიოტი სტუდენტების ხსოვნის პატივსაცემად დაწესდა სტუდენტთა საერთაშორისო დღე, რომელსაც ყოველ წელს სხვადასხვა აქტივობებით აღნიშნავენ მრავალი ქვეყნის სტუდენტობა. საქართველოში სტუდენტთა საერთაშორისო დღე, პირველად 2009 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, ჩატარდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა, მის ყოველწლიურ აღნიშვნას



თსუ-ში. წელსაც, 17 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, ჩატარდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა, მის ყოველწლიურ აღნიშვნას

ტური თვითმმართველობის ინიციატივით, სხვადასხვა სახის გასართობი აქტივობები გაიმართა: კალათბურთის ტურნირი, მინი ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ნარდი, რომელმაც გამარჯვებულებიც გამოავლინა.

დღე დასრულდა კინოჩვენებით – „მედისინიკა“ ეკრანზე ქართული კინომატოგრაფიის ერთ-ერთი კლასიკური და ქართველი მამულებლისთვის საყვარელი ფილმი „უდიპლომი სასიძო“ გაცოცხლდა.



თუ მე-20 საუკუნე გარდაიქმნა დიაბეტიანი ბავშვების სისხლში, 21-ე საუკუნე გარდაიქმნა მათ

გაეროს ასამბლეის რეზოლუციით, დიაბეტის მსოფლიო დღე 1991 წლიდან 160 ქვეყანაში აღინიშნება. იგი დაკავშირებულია ფრედერიკ ბანტინგის სახელთან, რომელმაც, ჩარლზ ბესტთან ერთად, ზუსტად ერთი საუკუნის წინ ინსულინი აღმოაჩინა.



აღსანიშნავია, რომ დიაბეტის მსოფლიო დღე ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა დიაბეტის გავრცელების მასშტაბების შესაფასებლად; ესაა ფართომასშტაბური საინფორმაციო დღე მოსახლეობისთვის დიაბეტის პრევენციის მიზნით, რჩევების მიწოდების თვალსაზრისით.

თელობისა და სიცოცხლის სიმბოლოა (ცისფერი სიმბოლო გამოხატავს ცას, რგოლი კი დიაბეტური საზოგადოების ერთიანობის ნიშანია).

მიმდინარე წლის შეთავაზება ჯანდაცვის პროფესიონალებისა და დიაბეტით დაავადებული ადამიანებისთვის ინტენსიური განათლების მისაწოდებლად ორიენტირებული, რაც გულსხმობს ადრეული დიაგნოსტიკის სწავლებასა და ნახალისებას, ასევე, უკეთესი ცხოვრების წესისა და პრევენციული ჩვევების დანერგვას, ზოგადად, - საინტერესო და აუცილებელ ინფორმაციას დიაბეტის მზარდ გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

პარალელურად, სადისერტაციო დარბაზში, მიმდინარეობდა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ თსუ-ის წარმომადგენლები და მონეული სტუმრები საქართველოს პარლამენტიდან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, ასევე, - ენდოკრინოლოგები სხვადასხვა კლინიკებიდან.

დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებით, დიაბეტით ამჟამად 537 მილიონი ადამიანი ავად; ვარაუდობენ, რომ 2030 წელს ეს რიცხვი 643 მილიონამდე გაიზარდება.

მისასალმებელი სიტყვით საზოგადოებას მიმართეს: თსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა სოფიო ბახტაძემ; თსუ-ის ემერიტუს-მა პროფესორმა დავით მეტრეველმა; თსუ-ის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარინა გორდელაძემ; საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, ბატონმა დავით სერგეენკომ; საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა ვლადიმერ კახაძემ; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, ქალბატონმა ეკა ადამიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა იუსტიციის და რეინტეგრაციის საკითხებში, ქალბატონმა ნანა გაბელიამ...

შთამბეჭდავი მოხსენებით - „შაქრიანი დიაბეტის მართვა, რეალობა და პერსპექტივა“ - მსმენელის წინაშე წარდგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა გორდელაძე, რომელმაც ისაუბრა დიაბეტის მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე - დანერგული ლეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციიდან, დამთავრებული - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამდე, რაც განსაკუთრებულ იმედს აჩენს შაქრიანი დიაბეტის უკეთ მართვის და პერსპექტივის თვალსაზრისით.

თბილისში, ქალბატონმა ნანა გაბელიამ...

მოხსენების მთავარი გზავნილი იყო: „თუ მე-20 საუკუნემ გადაარჩინა დიაბეტიანი ბავშვების სიცოცხლე, 21-ე საუკუნე განკურნავს მათ“.

საინტერესო მოხსენებით წარდგა თსუ-ის გივი ფვანიას სახელობის პედაგოგიის აკადემიური კლინიკის ენდოკრინოლოგიის სამსახურის უფროსი, ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე ფაცაცია, რომელმაც შეაჯამა კლინიკის ენდოკრინოლოგიური დეპარტამენტის 2015-2022 წლების მუშაობის შედეგები და აღნიშნა ავადობის პროგრესული ზრდის ტენდენციის შესახებ ბავშვთა ასაკში, ასევე, ისაუბრა COVID-19-ის მიმდინარეობის თავისებურებებზე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის თაობაზე, რომელსაც (გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგი) კლინიკაში 2015 წლიდან იყენებენ; მანვე მიმოიხილა შაქრიანი დიაბეტის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობა აღნიშნულ კლინიკაში.

საზოგადოების წინაშე მოხსენებით წარდგინა თსუ-ის მედიკი სემესტრის სტუდენტები, რომელთაც საზოგადოებას მიანოდეს უახლესი ინფორმაცია ინსულინის აბის შესახებ.

დღე დასრულდა სოფრთხების და სხვადასხვა სახის საჩუქრების გადაცემით, როგორც ბავშვებისთვის, ისე იმ ექიმებისათვის, რომელთა წვლილიც დიდია ნორჩების წარმატებული მკურნალობის საქმეში.

მე-5 კავკასიური პირი ბავშვთა ნეპროლოგიაში



2022 წლის 18-19 ნოემბერს თბილისში ჩატარდა მე-5 კავკასიური კურსი ბავშვთა ნეპროლოგიაში. იგი ორგანიზებული იყო ევროპის პედაგოგიური ნეპროლოგიური საზოგადოების (EPNS) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ.

უნივერსიტეტი, საქართველო; პროფესორი თინათინ ტყემალაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო; პროფესორი თინათინ ჭინჭარაული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

კურსი წარმართა ჰიბრიდულ რეჟიმში. მას ფიზიკური გამოცხადებით დაესწრო 60, ხოლო ონლაინ - 300 მსმენელი ევროპის 30-მდე ქვეყნიდან. სასწავლო კურსის თემას წარმოადგენდა „დასწავლის და ქცევის დარღვევები სკოლის ასაკის ბავშვებში“.

კურსზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო კლინიკური შემთხვევების განხილვას. საუკეთესო კლინიკური შემთხვევის წარდგენისთვის პირველი ადგილი დაიკავა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტმა კახა ბრეგვაძემ, ხოლო მეორე ადგილი მიეკუთვნა ახალგაზრდა მონაწილეს უკრაინიდან ალექსანდრე მირომენკოს.

ლონისძიებზე მოხსენებებით წარდგინა: პროფესორი ალსადარ პარკერი, კემბრიჯის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო; პროფესორი ფილიპ პაქუიერი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი, ბელგია; პროფესორი კორინე კატსმან ბერვეგტა, როტერდამის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები; პროფესორი ფრანცისკო კარატელა მარკო, ალიკანტეს უნივერსიტეტი, ესპანეთი; პროფესორი ბიანა სუხუდიანი, არაბკირის სამედიცინო ცენტრი, სომხეთი; პროფესორი სოფიო ბახტაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო; პროფესორი თინათინ ტყემალაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო; პროფესორი თინათინ ჭინჭარაული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

კურსის წარმატებით ორგანიზებისათვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, პროფესორს სოფიო ბახტაძეს, გადაეცა ევროპის პედაგოგიური ნეპროლოგიური საზოგადოების მადლობის სიგელი.

სტუდენტური კონფერენცია ოფთალმოლოგიაში



თსუ-ის მედიცინის და უცხოურენოვანი ფაკულტეტის მე-10 და მე-11 სემესტრის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციაში ოფთალმოლოგიაში, რომელზეც წარმომადგენელი იყო 12 პრეზენტაცია თანამედროვე ოფთალმოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

უფროსი, ასისტენტ-პროფესორი თინათინ კლასონია, მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია, სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი კლუბი „ენდეგორის“ თავმჯდომარე გივი გორგაძე.

კონფერენციის მონაწილეებს სამედიცინო უნივერსიტეტიდან გადაეცათ მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

კონფერენცია ორგანიზებული იყო თსუ-ის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის მიერ. კონფერენციას ესწრებოდნენ: თსუ-ის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის წარმომადგენლები: ნინო კარანაძე, მედეა გობეჯიძე, ნინო ნიკურაძე, თეა აბრამია, მანანა კიკლაშვილი, ნინო ჯანყარაშვილი, თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის

„Education to Protect Tomorrow“ – განათლება ხპინდელი დღის დასახვედრად



14 ნოემბერს მსოფლიო აღნიშნავს დიაბეტის მსოფლიო დღეს. ეს დღე იძლევა შესაძლებლობას, ამოკლდეს ცნობიერება დიაბეტის, როგორც გლობალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხის შესახებ, დაისახოს გზები, თუ რა უნდა გაკეთდეს ერთობლივად და ინდივიდუალურად მდგომარეობის უკეთესი პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მართვისთვის.

სადღესობა დიაბეტის გავრცელება იზრდება ყველა ასაკის ადამიანში - მსოფლიოში 537 მილიონი ადამიანი დაავადებულია დიაბეტით. წლებიდან წლები თემა კვლავ არის „დიაბეტის მოვლის ხელმისაწვდომობა“, როგორც ეს იყო შარშან და კვლავ იქნება 2023 წელს, რაც ხაზს უსვამს პრევენციისა და რეაგირების ძალისხმევას მნიშვნელობას.

სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა იყენებს პაციენტების თერაპიულ განათლებას (TPE) დიაბეტით დაავადებულთათვის საჭირო უნარებითა და ცოდნით აღჭურვისთვის - როცა კარგად ასწავლი პაციენტს, ნაკლებად გართულებას და ნაკლები ავადობა, სიკვდილიანობის შემცირებაც კი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ბაზა - „ლონისების თვალის დიაბეტური კლინიკა-საქართველო“ ყოველწელს აღნიშნავს დიაბეტის მსოფლიო დღეს. თსუ-ის სტუდენტები რეგულარულად ლებულობენ მონაწილეობას ამ დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, როგორცაა საინფორმაციო ფლავრების გავრცელება, პაციენტთა საქველმოქმედო გასინჯვები, დიაბეტის შესახებ მოსახლეობის ცოდნის ამაღლება, მედიასთან ურთიერთობა, დიაბეტის შესახებ პრეზენტაციების მომზადება.

აღსანიშნავია, რომ დიაბეტის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობს თსუ-ის აფილერებული კლინიკა „მედიკი“, პროფესორ ნინო ჩარკვიანის ხელმძღვანელობით.

ღაშთა თემა - „შაქრიანი დიაბეტის მკურნალობისა და პრევენციის თანამედროვე ასპექტები“

სამეცნიერო პროგრესმა და თანამედროვე სამყაროს ფორმირებამ გაამწვავა სხვადასხვა ტიპის დაავადებები, მათ შორის ბიოქიმიური პროცესების მოშლით განპირობებული დაავადებები, რომლებსაც თანამედროვე სამყაროს სნეულებებად მოიხსენიებენ. სამწუხაროდ, მაპროვოცირებულ ფაქტორებზე გვევლინება საკვები, სტრესი და ცხოვრების წესი, რომელიც თანახლავს სამეცნიერო პროგრესს და ადამიანის ცხოვრების გაადვილებას. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, 14 ნოემბერს, დიაბეტის საერთაშორისო დღეს, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტის ინიციატივით, გაიმართა ლექცია თემაზე - „შაქრიანი დიაბეტის მკურნალობისა და პრევენციის თანამედროვე ასპექტები“, რომელზეც საინტერესო მოხსენებით წარსდგა ენდოკრინოლოგი, ევროპის დიაბეტოლოგთა ასოციაციის წევრი ანა ჭოხონელიძე. სტუდენტები გაეცნენ უახლეს ინფორმაციას დიაბეტის მკურნალობასა და მისი პრევენციის თანამედროვე მეთოდებზე.

დიაბეტის მსოფლიო დღე - ცისფერი წრე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სიმბოლო, მომავალ წელსაც შეკრებს ადამიანის ჯანმრთელობის დამცველებს, რთული დაავადების ახალი მეთოდების განსახილველად, და ეს ერთიანობა გაგრძელდება მანამ, სანამ დიაბეტი - ეს რთული დაავადება განკურნებადი არ გახდება.

აპატირინა შუბითიძე, მედიცინის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტი



„მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი – ჩრეულ“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ერთ-გულია იმ ტრადიციებისა, რომელმაც, უმთავრესწილად, განსაზღვრა მისი სიძლიერე და ღირსება ქართული სამედიცინო აზროვნების ისტორიაში. ამ ტრადიციათა დაცვისა და შენარჩუნების საუკეთესო ნიმუში გახლავთ თსუ-ის კლინიკური ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ლიანა კიკალიშვილის, თაოსნობით, მოწყობილი ხსოვნის საღამო, მიღწეული დარგის ბერძენის, პროფესორ შამშე ქევანიშვილის, ხსოვნისადმი.

საღამოს სტუმრებმა – სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და ქართული სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს პროფესორ შამშე ქევანიშვილს – უბადლო პედაგოგს, მოძღვარს, თაობათა სანიმუშო აღმზრდელს, ღირსეულ პიროვნებას.

საზოგადოების წინაშე მოგონებებით წარდგენ დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ლიანა კიკალიშვილი, თსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, თსუ-ის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი რამაზ ხეცურიანი, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დიმიტრი კორძია, პროფესორი ზურაბ ქევანიშვილი, სპეციალური მილოცვით – ისრაელში მოღვაწე ქირურგი, შობას საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორი მერაბ სარული (იზრაელში), თსუ-ის ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი ილია ჭანუყვაძე;

გამომსვლელებმა დიდი სითბოთი და სიყვარულით გაიხსენეს უბადლო პიროვნება, ღირსეული პროფესორი, ღრმადგანსწავლული პედაგოგი, რომლის წვლილიც, პროფესორ შალვა თოიძესთან ერთად, უმნიშვნელოვანესია საქართველოში მორფოლოგიური მედიცინის განვითარებაში.

„მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი – ჩრეულ“ – ეს სიტყვები სწორედ რომ მისადაგება ბატონ შამშე ქევანიშვილს, გამორჩეული თავისი ცოდნით, განსწავლულობით, ქართველობით, – ნახვასით აღინშნა მისი პიროვნული თვისებებზე საუბრისას ქალბატონმა ლიანა კიკალიშვილმა. ურთულესი ცხოვრებისეული გზის გავლის შემდეგ, ბატონი შამშე მშობლიური სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) სივრცეში დაბრუნდა და ღირსეულად იტვირთა როლი ქვეყნის მოძღვრისა.



„ბატონი შამშე ქევანიშვილი იმ სწავლულთა რიცხვს მიეკუთვნება, ეპოქა რომ შექმნეს სამედიცინო უნივერსიტეტში“, – განაცხადა გამოსვლისას თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ; მისი აღნიშვნით, ბედნიერია, იმ თაობას რომ მიეკუთვნება, რომელსაც სწავლა პროფესორ ქევანიშვილის პერიოდში მოუხდა და მოწმეა მისი განსაკუთრებულად ჰუმანური დამოკიდებულებისა ახალგაზრდა თაობისადმი, რომელიც მის მიმართ მუდამ დიდი მონივნებითა და პატივისცემით გამოირჩეოდა.

პროფესორმა ზურაბ ქევანიშვილმა, ბატონი შამშეს ვაჟიშვილმა, მადლობის სიტყვებით მიმართა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, თსუ-ის აკადემიურ პერსონალს, მამის არდავინყებისა და მისი სახელის ღირსეულად გახსენებისთვის.

დასასრულს, კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ჰოლში, საზეიმოდ გაიხსნა შემორჩენილი დაფა, რომელზეც წარმოდგენილი ფოტომასალა დეპარტამენტის ისტორიის აღწერას და პატივმიგებას იმ ალუნურელი ღვაწლისა, რაც დეპარტამენტს, თავისი დიდი წარსულით და არანაკლებ საინტერესო დღევანდლობით, მოუძღვის არაერთი ქართველი თუ უცხოელი ექიმის აღზრდის, განვითარების და განსწავლის საქმეში.

უზნიხები ბიოგრაფიულად

ქართული სამედიცინო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პროფესორი შამშე ქევანიშვილი, 1907 წლის 9 მაისს დაიბადა. 1933 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, მუშაობა დაიწყო ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე, უფროს ლაბორანტად.

1934 წელს დაინიშნა ამავე კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე, პარალელურად მუშაობდა ორდინატორ-ქირურგად სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში.

1941 წლის 23 ივნისს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, სადაც ცხენოსანთა მე-17 დივიზიის სამედიცინო ესკადრონში მუშაობდა ექიმად, შემდეგ კი – 224-ე დივიზიის 44-ე სამედიცინო სანიტარული ბატალიონის წამყვან ქირურგად.

იგი 1941 წელს, ყირიმის საზღვაო სადესანტო ოპერაციის დროს, ჩავარდა ტყვედ და იმყოფებოდა ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკებში, ჯერ საბჭოთა კავშირისა და შემდგომ გერმანიის ტერიტორიებზე. 1945 წელს კი, კიბურმთიანობის საკონცენტრაციო ბანაკის ევაკუაციისას, მანახერხა გაქცევა და შეუერთდა საბჭოთა არმიის ერთ-ერთ ნაწილს. იგი 1946 წელს დაუბრუნდა მშობლიურ კათედრას, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა.

შამშე ქევანიშვილმა 1948 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, თემაზე: – „ახალმობილის ღვიძლის ცვალებადობის უკიდურესი ფორმები“. 1958 წელს აირჩიეს კათედრის დოცენტად; 1962 წელს დაიცვა სადოქტორო – „ღვიძლის სისხლძარღვების ქირურგიული ანატომია“; 1966

წელს კათედრის პროფესორი ხდება. ბატონი შამშე, როგორც კათედრის გამგის მოადგილე სასწავლო დარგში, მრავალი წელი ხელმძღვანელობდა სასწავლო პროცესს და ახალგაზრდა თანამშრომელთა დახელოვნებას; დიდი წვლილი შეიტანა კათედრის კლასიკური ანატომიური მუზეუმის შექმნაში – მის მიერ დამზადებული მრავალი სველი და კოროზიული პრეპარატი უნიკალურია და დღემდე ამშვენებს კათედრის მუზეუმს.

პროფესორი შამშე ქევანიშვილი 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის, ორი მონოგრაფიისა: – „ღვიძლის სისხლძარღვთა ქირურგიული ანატომია“ (1969 წ.) და „კარის ვენის გამოთიქვის შედეგები ექსპერიმენტში“ (1974 წ.). დღეს, როდესაც ჰეპატოლოგიის დარგის მკვლევარების შრომები ფართოდ ხელმისაწვდომი გახდა, შეიძლება დადასტურებული იქნას, რომ პროფესორ შამშე ქევანიშვილის აღნიშნულ მიგნებას ანალოგი არ გააჩნია.

ბატონი შამშე გამორჩეული პედაგოგიური ტალანტით იყო დაჯილდოებული. მის ლექცია-პრაქტიკუმებს სტუდენტები განსაკუთრებული ინტერესით და ხალისით ესწრებოდნენ. რამდენიმეჯერ აქვს მოპოვებული სამედიცინო ინსტიტუტის საუკეთესო პედაგოგის ნობელი.

ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე მოღვაწე ყველა პიროვნება დიდად არის დავალებული შამშე ქევანიშვილისაგან, რომელიც მათ უშურველად უზიარებდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას, პედაგოგიკის საიდუმლოებებს, პრეპარაციის ტექნიკას.

პროფესორი ლიანა კიკალიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ჩემი მასწავლებლის მასწავლებელი

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“...

იოსებ ნონევილის ცნობილი ლექსის ამ სტრიქონებით მინდა დავიწყო ჩემი მოგონება ბატონ შამშე ქევანიშვილზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იმდროინდელი ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის პროფესორზე, ჩემი მასწავლებლების მასწავლებლებზე.

35 წლის წინ, სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, ზემოთ აღნიშნულ კათედრაზე რომ მივედი, ჩემი ყურადღება გახამებულ თეთრ ქირურგიულ ხალათსა და ჩაჩში გამოწყობილმა შუახნის მამაკაცმა მიიპყრო, რომელიც კათედრაზე პირველად მისულ სტუდენტებს გაგვეცნო, როგორც კათედრის პროფესორი და სასწავლო ნაწილი. მან მაძინგე საუბარი გადაიტანა კათედრის გამგეზე, ბატონ შალვა თოიძეზე და თან დასძინა, – თქვენს ნაკადს ის წაუკითხავს ლექციებს და მეც შეივადამიე დავეხმარებო.

წინა კურსელებისგან ვიცოდით, რომ ბატონი შამშეს ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები მასალის მარტვი, სტუდენტისთვის ადვილად გასაგებ ენაზე მიწოდებით გამოირჩეოდა, დასამახსოვრებელი მაგალითებისა და შედარებების მოყვანით და იმითაც, რომ მას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ორსული და ბავშვიანი სტუდენტების მიმართ.

ბატონი შამშე გამორჩეული იყო საგნის უბადლო ცოდ-

ნით, რაჭული სიდინჯითა და სიღარბისლით; სტუდენტებთან და კათედრის თანამშრომლებთან საუბრისას, ხმას არასოდეს აუნეჭდა, ყველა მიმართ ყოველთვის სამართლიანი და ობიექტური იყო. შემდგომში, როცა კათედრის თანამშრომელი გავხდი, ბედნიერება მხვდა წილად, ახლოს გავცნობოდი მის, როგორც ღვიძლის ქირურგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, სამეცნიერო საქმიანობას.

კათედრაზე ჩემი მასწავლებლები მის მიმართ დიდი მონივნებითა და პატივისცემით იყვნენ განმსჭვალულნი და დიდად აფასებდნენ მის დამსახურებას, არა მარტო ღვიძლის ქირურგიის, არამედ, ზოგადად, ქართული ქირურგიული აზროვნების განვითარებაში.

დიახ, ჩემს მასწავლებლებს, უდავოდ, ღირსეული პედაგოგი ჰყავდათ ბატონი შამშე ქევანიშვილის სახით.

მისი აღზრდების სახელით, მინდა მადლიერების სიტყვებით მოვიხსენიო ეს დიდებული პედაგოგი და მეცნიერი – იმ დიდი მადლის ქმნისთვის, რაც მას მიუძღვის ქართული სამედიცინო მეცნიერების წინსვლისა და ქართული სამედიცინო კადრის ღირსეულად აღზრდის საქმეში.

ბრიგოლ (ბი) სულაბაჩიძე, ფიზიკური მდიდრის დეპარტამენტის დინამიკური ანატომიის განხრის ასოცირებული პროფესორი

ლინსული და სამაგალიტო

26 წლის ასაკში მუშაობა დაეწიე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე, სადაც კათედრის პროფესორი გახლდათ ბატონი შამშე ქევანიშვილი, რომელთანაც ბედნიერება მქონდა 1986 წლამდე მემუშავა.

ამ პერიოდში კათედრაზე ფართოდ იყო გამოილი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა: ტოპოგრაფიული ანატომიის ნაწილის სწავლება მიმდინარეობდა გვამებზე, ოპერაციული ქირურგიის ნაწილის შესწავლა ხდებოდა, როგორც ძალზეზე, ასევე, გვამებზე. სამეცნიერო ნაწილის თემატიკა მოიცავდა ექსპერიმენტებს ძალზეზე და იმდენად საინტერესო იყო კათედრაზე საქმიანობა, რომ სურვილი მქონდა, დასვენების დღეებშიც აქ მემუშავა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ყველაზე მეტად, სწორედ, ეს კათედრა დამამახსოვრდა.

კათედრის წარმატებული პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობა დაუძენებული იყო კათედრის გამგის, პროფესორ შალვა თოიძის და პროფესორ შამშე ქევანიშვილის ძალისხმევებზე, მათ ზრუნვაზე, გაგრძელებულიყო ის დიდი ტრადიციები, რომლებსაც დაუძენელი ჩაუყარეს კათედრის მესვეურებმა - დავით იოსელიანმა, ნიკოლოზ კახიანიამ, ნიკოლოზ დემეტრაძემ და სხვებმა.

მასსოვს ბატონ შამშეს ნათქვამი: - შეიძლება ოჯახს მოაკლო, სამსახურს კი – არა. ერთი ეპიზოდშიც მახსენდება: ძალზეზე ექსპერიმენტის ჩატარების დროს, ბატონ შამშეს ვეხმარებოდი ოპერაციისას; ძალის მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ გარდაუვალი იყო მისი დაღუპვა და, რადგან ლეტალური გამოსავალი იყო მოსალოდნელი, გულგრილად მოვეკვიე ოპერაციის დასრულებას, არასწორად გადავკვანძე სისხლძარღვი და ასე ვაპირებდი მის დატოვებას. ეს რომ შეაჩინა ბატონმა შამშემ, მიწყინა და თვითონ გამოსასწორა ჩემი შეცდომა. არ მახსენდება ექსპერიმენტი, რომელშიც მას არ მივლი მონაწილეობა. გარდა ამისა, ერთად შევისწავლეთ კარის ვენის 150-ზე მეტი კოროზიული პრეპარატის თითოეული ტოტის ზომა ასაკობრივ ასპექტში. ამ სამუშაოს ჩატარება მოხდა მისთვის დამახასიათებელი მაღალი სიზუსტის დაცვით.

ბატონი შამშე ატარებდა ყველა იმ დადებით თვისებას, რაც მალე აკადემიური პროფესორის ხმის მქონე მეცნიერისა და პედაგოგისთვისაა დამახასიათებელი. კათედრისთვის დიდი დანაკლისი იყო პროფესორ შამშე ქევანიშვილის (1986 წ.) და პროფესორ შალვა თოიძის მოულოდნელი გარდაცვალება (1990 წ.); მათი მონაწილეობის ერთობლიობა კი, ჯერ – პროფესორ ელგუჯა ყიფიანის, შემდეგ კი – პროფესორ ლიანა კიკალიშვილის ხელმძღვანელობით, ასევე, რექტორატის მხრიდან დიდი მხარდაჭერით, ცდილობს, დეპარტამენტს შეუნარჩუნოს ის ღირებული მონაპოვარი, რაც დავიკავებდა პროფესორებმა შალვა თოიძემ და შამშე ქევანიშვილმა.

მანანა რაივიშვილი, კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

უბადლო ექიმი, პედაგოგი და მოძღვარი

ქვეყნის პედაგოგებს დიდი ბედნიერება სდევთ თან: - სანამ მათი უკანასკნელი მოსწავლე ცოცხალია, მათ სსოფნას დაეწიე-ბის მტკიცე არ დაეძაბა... მართლაც, ბატონ შამშე ქევანიშვილს, ამ დიდ პედაგოგს, ექიმსა და ტოპოგრაფ-ანატომს, მონაწილეები არასოდეს დაივინყებენ...

უბადლო ექიმი, პედაგოგი და მოძღვარი გახლდათ ბატონი შამშე...

ალექსანდრე მაკედონელმა თქვა: – „მე მშობლებმა მომცეს სიცოცხლე, ხოლო მასწავლებლებმა, – ის, რისთვისაც ღირს სიცოცხლე“. ნამდვილად ბედნიერია ის პედაგოგი, რომელსაც მონაწილე ასე აღიქვამს... ასე გემომღვარება ბატონი შამშე, საგანთან ერთად, ქართველობას, კაცურკაცობას რომ გვასწავლიდა.

ბატონი შამშე იმ პროფესორს (ლიელა ქუთათელაძე, შალვა თოიძე, მამია კომახიძე და ბერი სხვა) შორის იყო, რომელთაც ვერასდროს შეჰკადრებდნენ დაუმსახურებელი ნიშნის დაწერას და, როცა ამ საკითხთან დაკავშირებით, ბატონი ზურაბის მოგონებები ნავიკითხე ძვირფას მამაზე, მივხვდი, როგორ დამთავრებოდა ის ამბავი „პროტექციაზე“, თანაც გავიხარე, ინტუიციამ რომ არ მიმტყუნა...

მასსოვს, პირველმა ბატონმა შამშემ, ექსპერიმენტულად რომ გავაკეთებინა თიაქარკვეთა ძალზე: ერთ-ერთმა სტუდენტმა ჩრილობაში სისხლდენა შეინშნა და დიდი მონდობითა და საკმარისი სახით პეანის მომჭერი დაადო... ბატონ შამშეს მარჯვენა მტკიცის საჩვენებელ თითზე, სტუდენტი გაშრა, მას კი, არათუ საყვედური დასცდენია, დამშვიდებაც კი დაუნყო, რომ შეხედა, რა დღეშიც ჩავარდა იგი...

ბატონ შამშესთან ტოპანატომიის გარდა, სხვა შეხებაც მქონდა:

ერთხელ, 1974 წლის ივლისის ბოლოს, მშობლიურ რაჭას ეწვია. საავადმყოფოში შემოვიდა, კოლეგები მოიკითხა, შეხვედებზეც კი დამესწრო და მითხრა, ამ ჩრილობაში ტამპონი აღარ ჩადო, შეხორცების საშუალება მიეცით.

1975 წლის ზაფხულში კი, როცა ამბროლაურის საავადმყოფო რემონტდებოდა და ოპერაციებს ჩრებდნენ საუბრო საავადმყოფოში ვაკეთებდით. ერთ დღეს ეზოში ბატონი შამშე შემობრძანდა, ბიძა ახლდა, რომელსაც მექანიკური სიყვილით განვითარებოდა. ოპერაცია ძალზე გამოცდილმა ქირურგებმა, ბატონებმა აპირან იაშვილმა და მიხეილ კახიძემ, გაუკეთეს, მე მთრე ასისტენტი ვიყავი, ნარკოზი ვანი ლაზაროვილმა წარმართა. ოპერაციის შემდეგ ექიმები სადღეზე დაეპატიყდნენ, მერე კი გავიპარე და სადილის საფასურის გადახდა დავაპირე. ბატონი შამშე მიმხვდარა, რისთვის გავედი და უკან გამომყოლია... მისი საკმაოდ მკაცრი ხმა შემომხმა: - როცა შენ ჩემზე მეტი ხელფასი გექნება, მაშინ დამპატიყფო...

...მოსაგონარი ბევრია... უფალს შევთხოვ, ნათელში ამყოფოს მისი ნათელი სული და დაუძვედროს სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

როსტომ ცხველიანი, თსუ-ის ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტის სასწავლო ნაწილის გამგე



თსუ-ის კულტურის წინაშე – მიღწევებით და პინაკლებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულ შემოქმედებით ჯგუფებში ხელოვნებით დაინტერესებული არაერთი ახალგაზრდა ერთიანდება, რომლებსაც უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობით ნიჭის გამოვლენის საუკეთესო შესაძლებლობა ეძლევათ. პანდემიის შემდგომი პერიოდი კულტურის ცენტრისთვის საკმაოდ დატვირთული, უნივერსიტეტის გულშემატკივრებისა და ხელოვნების მოყვარულებისთვის კი საინტერესო და დასამახსოვრებელი გამოდგა. განვლილი წლის წარმატებებზე და მომავლის გეგმებზე თსუ-ის კულტურის ცენტრის დირექტორი, იტალიის კულტურის პრემიისა და ქართული ქორეოგრაფიის ორდენ „ამაგდარის“ მფლობელი, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, ბატონი ბადრი მაჭავარიანი გვესაუბრება.

– თსუ-ის კულტურის ცენტრის შემოქმედებით ჯგუფები ყოველთვის წარმატებით ახარებდნენ გულშემატკივრებს. ტრადიცია დღესაც გრძელდება... როგორ შეაჯამებთ განვლილ 2022 წელს?

– მოგეხსენებათ, პანდემიის გამო, იძულებითი შემოქმედებითი პაუზა გვქონდა, თუმცა, ამ რთული ეტაპის შემდეგ შემოქმედებითმა ჯგუფებმა, თეატრმა და ახალგაზრდებმა, დიდი ერთობით განაგრძეს საქმიანობა – განახლდა რეპეტიციები, მოვიდა ახალი თაობა, რაც დიდი სტიმული იყო, რომ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აგვეყვანა თსუ-ის სტუდენტთა კულტურული ცხოვრება. ასეთ პროცესებს, ანუ კულტურის სფეროში სტუდენტთა წარმოჩენას მხარს უჭერს და ავითარებს ევროპისა თუ აშშ-ის უმაღლესი სასწავლებლები, სამედიცინო აკადემიები და უნივერსიტეტები. თუ ხმამაღალ ნათქვამად არ ჩამთვლება, ვიტყვი, რომ მათ ერთ-ერთ ჩამოყვარებას, ხშირად წინ უსწრებს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა კულტურული ცხოვრება, რაც, კულტურის ცენტრის სტუდენტებთან ერთად, თსუ-ის ხელმძღვანელობისა და სტუდენტური თვითმმართველობის დამსახურებაა.

2021 წლის გაზაფხულზე, პირველად სამედიცინო უნივერსიტეტში, ჩვენი ინიციატივით და სტუდენტური თვითმმართველობის (პრეზიდენტი – ა. კაკაბაძე) აქტიური ჩართულობით, გაიხსნა საგამოფენო სივრცე, სადაც 2 თვის განმავლობაში წარმოდგენილი იყო თსუ-ის სტუდენტთა ფერწერული თუ გრაფიკული ნაშრომები. გამოფენამ ძალიან დიდი იმპრესია და მოწონება დაიმსახურა არა მარტო თსუ-ში – მას ესტუმრნენ და მალაღობა შეუფასებეს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულებმა, სტუდენტებმა, პროფესიონალმა მხატვრებმა...

სულ რამდენიმე ხნის წინ, თსუ-ში სტუმრად მყოფი უცხოელი, მათ შორის, უკრაინელი სტუმრებისთვის ჩატარდა კონცერტი, რომელშიც ჩაერთო უკრაინელი ახალგაზრდები, დეუტი, რომელიც მასწავლებლის ნინაზე „ტანგოს“ შესრულებით წარდგა; სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლის მომღერალ ვაჟთა გუნდმა შეასრულა უკრაინული ხალხური სიმღერა. ამით ჩვენ გამოვხატეთ თანადგომა და მხარდაჭერა უკრაინელი ხალხის მიმართ. ორივე საკონცერტო ნომერმა დიდი მოწონება და ხანგრძლივი ოვაციები დაიმსახურა.

– თითქმის 40-წლიანი მდიდარი ისტორიის მქონე სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლი, თეატრი „ჰიგია“, თანამედროვე და სამედიცინო ცეკვების და ტრადიციული მუსიკის და სიმღერის გოგონათა ანსამბლები თუ კლასიკური მუსიკის ჯგუფი უკვე კარგად ნაცნობია მასწავლებლისა და მსმენელისთვის. საინტერესო და კარგი სახალხო თქვენი ინიციატივით ვოკალური ანსამბლის დაარსება, რომელმაც მოკლე დროში მოიპოვა მსმენლის სიმპათია და აღიარება...

– დიას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით და ჩემი ინიციატივით, კულტურის ცენტრში შევქმენი ვოკალური ანსამბლი. ხელმძღვანელად მოვიწვიე ახალგაზრდა, თუმცა შემოქმედებით საზოგადოებაში უკვე კარგად ცნობილი მომღერალი, დირიჟორი და მუსიკალური სკოლის მენეჯერი, ვოკალის პედაგოგი, ქალბატონი მარია არველაძე, რომლის მონდობებამ და პროფესიონალიზმმა ძალიან მალე გამოიღო შედეგი, რასაც ვოკალური ანსამბლის კონცერტზე მასწავლებლის ოვაციებიც ადასტურებს.

აი, ასე აღდგა კიდევ ერთი ტრადიცია ჩვენს უნივერსიტეტში – ჩვენი სტუდენტობის დროს ხომ სამედიცინო უნივერსიტეტში ძალიან კარგი ვოკალური ანსამბლები არსებობდა.

დიდი წარმატება ჰქონდა ჩვენს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს – წლის დასაწყისშივე

ანსამბლმა მასწავლებლის ახალი წელი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მეშვეობით მიულოცა. მნიშვნელოვანი და სასიხარულო იყო, რომ საქართველოს ქორეოგრაფ მოღვაწეთა კავშირმა ანსამბლს საპატიო „დამსახურებული ანსამბლის“ წოდება მიანიჭა, ხოლო მოვიანებით, ქ. თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის (ხელ-ლი – ი. გვილაშვილი) მხარდაჭერით და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ორგანიზებით, ჩატარდა „თბილისის სტუდენტური ფესტივალი – 2022“, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს 34 უმაღლესი სასწავლებელი. თსუ-ის სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებულ ანსამბლს (ხელ-მძღვანელი – ბ. მაჭავარიანი, მთავარი ქორეოგრაფი – დ. უგრეხელიძე, ქორეოგრაფი – ი. კუპრეიშვილი, მავსტრო – დ. რატიანი) ხალხურ ცეკვასა და სიმღერაში პირველი ადგილი ხვდა ნილა და თეატრის ნევრების, ილიკო და ნინო სუხიშვილების, ეკა მამალაძისა და სუხიშვილების ძველი თაობის წარმომადგენლის – ნუნუ შათირიშვილის დიდი მოწონება დაიმსახურა. ანსამბლის ნევრებისთვის, თსუ-ის სტუდენტებისთვის, დიდი მხარდაჭერა იყო, რომ, ასეთ საპასუხისმგებლო დროს, როცა მნიშვნელოვანი აუდიტორიის წინაშე უწევდათ გამოსვლა, როცა მედია აქტიურად აშუქებდა ფესტივალის მსვლელობას, როცა ნერვიულობა პიკს აღწევდა, მათ გვერდით იდგნენ და გულშემატკივრობით ამხნევედნენ თსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი – ლადო გაბეჩავა, სტუდენტებთან და კურიერული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი – თამარ საგანელიძე, რომლებიც სტუდენტებთან ერთად ხარობდნენ ანსამბლის ამ დიდი და მნიშვნელოვანი წარმატებით. მაღლობა მათ თანადგომისთვის.

აღსანიშნავია კლასიკური მუსიკის ჯგუფის წარმატებით სოლო კონცერტი, რომელიც თსუ-ის „თეატრალური დარბაზში“ მავსტრო გოდერძი ჩიტაიშვილის თაოსნობით გაიმართა. კონცერტზე გაუღერდა შოპენის, რახმანინოვის, შუბერტის, ვოპლინის, აზარაშვილის და სხვა კომპოზიტორთა კლასიკური ნაწარმოებები.

სახალხო საკონცერტო პროგრამაზე სრული დატვირთვით იმუშავა გოგონათა ტრადიციული სიმღერისა და მუსიკის ანსამბლმა „დეკამ“ (ხელმძღვანელი – დავით რატიანი, ხალხურ საკრავთა ჯგუფის ხელმძღვანელი – გელა ტაბაშიძე). ანსამბლი აქტიურად იყო ჩართული კონცერტებში. სხვადასხვა ტელეკომპანიის ეთერშიდანაც მოვისმინეთ გოგონების მიერ შესრულებული ქართული თუ უკრაინული სიმღერები ჩვენი მეგობარი ქვეყნის თანადგომის და პატივისცემის ნიშნად.

ახალი შედგენილობით და ახალ პროგრამაზე მუშაობის თანამედროვე და ლათინურ-ამერიკული ცეკვების ანსამბლი „ვევა“ (ხელ-მძღვანელი – ია კვირიკაშვილი).

– ალბათ ცალკე აღნიშვნის ღირსია თეატრი „ჰიგია“ წარმატებები, რომელმაც საიუბილეო თარიღი ქვეყნის უპირველესი თეატრის (სვენაზე ანსამბლი) მიძღვინა სპექტაკლით აღნიშნა...

– მართლაც, თეატრი „ჰიგია“ 20 წლის-თავთან დაკავშირებით უპრეცედენტო რამ მოხდა: ჩვენმა თეატრმა (რეჟისორი, თსუ-ის ასოციირებული პროფესორი ნათია გუჯაბიძე) 20 მარტზე, საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრში ანტუან დე სენტ-გეზოუპერის ცნობილი ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი – „პატარა უფლისწული“ – წარმოადგინა. სტუდენტური თეატრის ასეთი წარმატებული გამოსვლა არ ახსოვს არც ამ აკადემიურ სვენას, არც თბილისის საზოგადოებას და თეატრის მოყვარულებს. ეს იყო დაუზინყარი და ძალიან ლამაზი საღამო. დიდი ხნის განმავლობაში არ წყდებოდა მასწავლებლის ოვაციები. ჩვენმა სტუდენტებმა, არაპროფესიონალმა მსახიობებმა, მოღვაწეობის დროს შექმნილი უფროსი თეატრის დამამსოვრეს მასწავლებელს თავი. თეატრმა „ჰიგია“ ახალი სპექტაკლი წარადგინა მოყვარულ სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალზე – „ნილა-2022“. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლს მუსიკალურად აფორმებს თსუ-ის კულტურის ცენტრის მუსიკალური ხელმძღვანელი, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მომღერალი, მუსიკოსი და არაერთი პიტივი ავტორი, დავით არჩვაძე.

მოგეხსენებათ, რომ ფესტივალი „ნილა“ დაარსდა ნათია გუჯაბიძის ინიციატივით და მას, ტრადიციულად, თსუ-ის „თეატრალური დარბაზი“ მასპინძლობს. ფესტივალში მონაწილეობენ როგორც საქართველოს, ისე

სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა თეატრალური დასები. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც „ჰიგიას“ მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლმა მასწავლებლის მოწონება დაიმსახურა და არაერთ ნომინაციაში გაიმარჯვა.

არ შემიძლია გვერდი ავუარო ნათია გუჯაბიძისა და „ჰიგიას“ ერთ-ერთი წამყვანი მსახიობის, თსუ-ის დოპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტის, გიორგი სანიკიძის, ინიციატივას ფილმ „რეგენერაციის“ გადაღებასთან დაკავშირებით, რომლის პირველი სეზონი წარმატებით დასრულდა და მასწავლებლმა ის YouTube არხის საშუალებით იხილა. ფილმი სტუდენტურ ცხოვრებაზე მართლაც საინტერესო და მნიშვნელოვანი სიახლეა; პირადად მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნათიას და „ჰიგიას“ იმისთვის, რომ ფილმში, ჩემთვის მოულოდნელად, ცნობილ მსახიობებთან და უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ერთად, მომეცა საშუალება ერთ-ერთი სტუდენტის ბაბუის როლი შემესრულებინა. თუ როგორ შევქმენი ეს, ამაზე, ალბათ, მასწავლებელი იმსჯელებს...

– უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულები საერთაშორისო სტუდენტებიც. მათ შესახებ რას გვეტყვი?

– თავად ის ფაქტი, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ამდენი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს, მეტყველებს, რომ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები თითქმის ყველა კონტინენტიდან დიდ ნდობას უცხადებენ ჩვენს ქვეყანას და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, სადაც შესაძლებელია მიიღო მაღალკვალიფიციური სამედიცინო განათლება და სტუდენტობის პერიოდშივე სტაჟირება გაიარო სხვადასხვა ქვეყნის სამედიცინო კლინიკებში. ამასთან ერთად, უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო სტუდენტთა კულტურულ ცხოვრებას. ისინი ხშირად აღნიშნავენ მათი ქვეყნების სხვადასხვა დღესასწაულს და აქტიურად მონაწილეობენ კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ საკონცერტო პროგრამებში. ამ წუთებშიც კი, განსაკუთრებით საღამოებზე, ჩვენი დარბაზები სავსეა საერთაშორისო სტუდენტებით, რომლებიც ამაზედებენ ახალ საკონცერტო პროგრამებს. მათ საქმიანობა და მიმართულება კოორდინაციას უწევს კულტურის ცენტრის უფროსი სპეციალისტი მარიამ მაჭავარიანი. საერთაშორისო სტუდენტები სურვილი გამოატყობენ ჩაირიცხონ ცენტრში არსებულ ვოკალურ ანსამბლშიც.

– გასული წელი, როგორც აღნიშნეთ, სიახლეებით და საინტერესო ღონისძიებებით იყო დატვირთული. რა გეგმები გაქვთ და რას სთავაზობთ სტუდენტებს და გულშემატკივრებს 2023 წლისთვის?

– ყველა შემოქმედებითი ჯგუფი თუ ანსამბლი ეცდება გაამდიდროს რეპერტუარს და ახალი პროგრამით წარდგეს პუბლიკის წინაშე. თეატრი „ჰიგია“, როგორც ყოველთვის, სიახლეებს შესთავაზებს მასწავლებელს; მოგეხსენებათ საგაზაფხულო ღონისძიებებისა და სტუდენტური ფესტივალისთვის. სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლი უკვე იღებს მონაწილეობას ლათინური, არაბული თუ ევროპის ქვეყნებიდან იუნესკოს სხვადასხვა ფესტივალში მონაწილეობისთვის, რომელიც 2023 წლის ზაფხულში ჩატარდება. მოკლედ, გვინდა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ თსუ-ის სტუდენტთა კულტურული ცხოვრება ისე, როგორც ეს ხდება აშშ-ისა და ევროპის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ცენტრში გაერთიანებულ სტუდენტთა წარმატებები, უპირველეს ყოვლისა, ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორი ზრუნვა და მხარდაჭერა აქვთ ჩვენს სტუდენტებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, კერძოდ, თსუ-ის რექტორის, კანცლერის, მათი აპარატის ხელმძღვანელების, ვიცე-კანცლერისა და კანცლერის მოადგილის მხრიდან, რომლებიც ყველა ჩვენს წინადადებას თუ სათხოვარს გულსისყურით ეკიდებიან და მაქსიმალურ მხარდაჭერას გვიცხადებენ. ჩვენთან ერთად დასახული გეგმების განხორციელების პროცესში აქტიურად არის ჩართული



სტუდენტური თვითმმართველობა; მუდმივად ვგრძნობთ თანადგომას თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, ასევე, ინფრასტრუქტურის, ოურიდიული, საფინანსო თუ შესყიდვების სამსახურების და თსუ-ის გაზეთის მხრიდან, რომელიც ნამდვილად ჩვენი მემატიანეა; ამ მხარდაჭერისთვის მინდა ყველას დიდი მადლობა გადავუხადო კულტურის ცენტრის თანამშრომლებისა და ცენტრში გაერთიანებულ სტუდენტების სახელით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ერთიანი თანადგომის შედეგია სტუდენტობის წარმატებები სწავლაში, კულტურასა თუ სპორტში.

ესარგებლობ შემთხვევით და დამდეგ შობა-ახალ წელს მივულოცავ ჩემს Alma-Mater-ს, მის ხელმძღვანელობას, პროფესორებს, სტუდენტობას, უკლებლივ ყველა თანამშრომელს და ვუსურვებ მათ მშვიდობას, ჯანმრთელობას, წარმატებებს ჩვენი ქვეყნისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საღივებლად და საკეთილდღეოდ.



თეატრალური ფესტივალი „ნილაბი“ დასრულდა

ორ ათეულწლიანი ულამაზესი ისტორიით ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრი...
...22 წლის წინათ, ახალკურსდამთავრებულმა ნათია გუჯაბიძემ, დიდი ხნის ოცნებას ფრთა შეასხა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით, საჩუქარი გაუკეთა მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელს – სახელმწიფო თეატრალური სტუდენტური თეატრის დასამფუძვლებლად და ახლა უკვე ოცი ორიგინალური სტუდენტური სპექტაკლი აფერადებს თსუ-ის თეატრალურ ცხოვრების ისტორიას...

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბოდიში, რომ ცოცხალი ვარ“, მხითარ შერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის – „გასასვლელი არ არის“ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური დასის წარმოდგენილმა მიუზიკლმა – „ძველი თბილისის მელოდიები“ – მსახიობების დიდი სიმპათია და ხანგრძლივი ოვაციები დაიმსახურა.

ათი წლის წინ კი, თსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, ნათია გუჯაბიძემ, მოყვარულ სტუდენტურ თეატრთან ასოციაციის სტუდენტურ თეატრთან საერთაშორისო ფესტივალი – „ნილაბი“ – დააარსა, რომელიც, ტრადიციულად, წელსაც, დეკემბრის თვეში, არაერთი ქართული და უცხოური დასის მასპინძელი გახდა.

სპექტაკლებს კომპეტენტური ჟიურის მხრიდანაც, რომელიც თავმჯდომარის – ეკა მუჟავენიძის, მსახიობების: თამუნა ნიკოლაძის, გიორგი ჯიქიას, ეკა მოლოდინაშვილის, მალხაზ ქვერივიშვილის, ზუკა პაპუაშვილის, ია სუხიტაშვილის; რეჟისორ ციცი კობიაშვილის შემადგენლობით იყო წარმოდგენილი, საუკეთესო შეფასება მიეცა, აღინიშნა მათი რეჟისორული გადანიჭებისა და შესრულების გამორჩეული ხელნერის შესახებ.

ერთი კვირის განმავლობაში ახალგაზრდების სიმრავლე იგრძნობოდა, ხალისი და ემოციები სჭარბობდა თსუ-ის მესამე სასწავლო კორპუსში; „თეატრალური დარბაზი“ მომსვლელთა ნაკადს ველარ იტყვდა – ორწლიანმა საკარანტინო შეზღუდვებმა მასწავლებელი თეატრალურ სანახაობას მოანატრა – სამედიცინოებთან ერთად, აუარება გულმემატიკვარი ჰყავდა თითოეულ სპექტაკლს...

სპექტაკლებს კომპეტენტური ჟიურის მხრიდანაც, რომელიც თავმჯდომარის – ეკა მუჟავენიძის, მსახიობების: თამუნა ნიკოლაძის, გიორგი ჯიქიას, ეკა მოლოდინაშვილის, მალხაზ ქვერივიშვილის, ზუკა პაპუაშვილის, ია სუხიტაშვილის; რეჟისორ ციცი კობიაშვილის შემადგენლობით იყო წარმოდგენილი, საუკეთესო შეფასება მიეცა, აღინიშნა მათი რეჟისორული გადანიჭებისა და შესრულების გამორჩეული ხელნერის შესახებ.

დიდი ემოციებით და სიყვარულით მიიღო მსახიობებმა ფესტივალზე წარმოდგენილი ყველა სპექტაკლი.

თსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებული დრამატული თეატრი – „ჰიგას“ რეჟისორმა, ნათია გუჯაბიძემ, მსახიობები კიდევ ერთხელ ამოგზავრა საოცრებათა სამყაროში, კიდევ ერთხელ ამიღერა კოპონა ვერის უბანი, თავისი ყოველდღიურობით – მრეცხავი ვარდოთი, მედროგე პავლეთი თუ პოლიცემისტე-

რით, მომღერალი მრეცხავებით, „ტანცკლასის“ მასწავლებლებით თუ საყვარელი მოცეკვავე დებიტით...

სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა მომღერალმა და კომპოზიტორმა დავით არჩვაძემ, ქორეოგრაფი არჩილ სოლოლაშვილი გახლავთ.

რომლებიც ამ წარმოდგენისთვის ინსპირაციად იქცნენ. ერთად შევებრძოლეთ სირთულეებს და ახლა შემოიღია, ვთქვა, რომ ჩვენ ეს ყველაფერი შევძელით“.

თეატრალური ფესტივალი საზეიმოდ დაიხურა. თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ მადლობა გადაუხადა ახალგაზრდა შემსრულებლებს, რეჟისორებს სხვადასხვა დასებიდან; აღინიშნა, რომ ტრადიცია, რომელსაც სამედიცინო უნივერსიტეტმა ჩაუყარა საფუძვლი და იქცევა ახალგაზრდათა შემოქმედებითი შეხვედრებისა, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, დამეგობრების საინიშუმო მაგალითად.

პროფესორმა რუსუდან რუხაძემ, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, განაცხადა, რომ აღფრთოვანებულია სპექტაკლით: „კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდობა სწავლობს სამედიცინო უნივერსიტეტში. ორმაგად ვღელავდი, – ნათია გუჯაბიძე ჩვენი დეპარტამენტის პროფესორია და მის სპექტაკლებს განსაკუთრებულად ველოდები ხოლმე; ამჯერადაც არაჩვეულებრივი სპექტაკლით მოგვიბოძეს ახალგაზრდებმა“.

ალსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალურ დაიმსახურეს, კერძოდ: ფესტივალში მონაწილე თეატრალური დასების რჩეული და ქალის კომედიური როლის საუკეთესო შემსრულებელი ფეფე გოგინაძე გახდა, მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებლის გიორგი სანიკიძე დავილოვდა, ხოლო ქალის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებლად ანანო სიდაშვილი დასახელდა, მამაკაცის კომედიური როლის საუკეთესო შემსრულებლად გიორგი თაბაგარი აღიარეს, ზახვა გელაშვილი კი რეჟისორ გოგი თოდუას ოჯახის მიერ დანერგული ფულადი პრემია და გოგი თოდუას სახელობის საპატიო პრიზი გადაეცა.

ორინა კაპეტიაძე, თსუ-ის რექტორის აპარატის უფროსი: „აღფრთოვანებული ვარ სტუდენტების ნიჭიერებით, მუსიკალურობით. ნათიაზე კი მხოლოდ ის შემოიღია ვთქვა, რომ უნიჭიერესი ადამიანია. სპექტაკლმა მოხიბლა მსახიობები. ამაყი ვარ, რომ იმ გუნდის წევრი ვარ, რომლის კედლებშიც ასეთი სპექტაკლი დაიდგა“.

„მეცხრევერ ჩაფხარე თუ ფესტივალი „ნილაბი“, – საუბრობს თეატრის რეჟისორი ნათია გუჯაბიძე, – პანდემიის გამო, შემოქმედებითი ცხოვრება დაპაუზებული იყო; – იქნებ დაავინებ მსახიობებს ეს ყველაფერი, ვიფიქრობდი, მაგრამ დარბაზში ამ დღეებში ძალიან დიდი დღესასწაული იყო და დავრწმუნდი, რომ ადამიანებს თეატრი უყვართ და მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. ვაჩვენებ მიუზიკლი – „ძველი თბილისის მელოდიები“. ეს სპექტაკლი ჩვენი დიდი გამომწვევა იყო, არასდროს მიცდია ამ ჟანრში მუშაობა. ამჟამად დასამ გვყავს მომღერალი ახალგაზრდები,

პროფესორი ლელა მასხუღია, თსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი: „ბედნიერი ვარ და ამაყი დღევანდელი დღით და ამ სპექტაკლით. მადლობელი ვარ ქალბატონი ნათიასი და სტუდენტების. ვულოცავ მათ გუნდს შესანიშნავ წარმატებას“.

ფესტივალის გვირგვინად კი ის ულამაზესი დღე იქცა, როცა თეატრალურმა დასმა და კომპეტენტურმა ჟიურმა, ფიორვერკების ფონზე, კიდევ ერთხელ აღინიშნა ნღევანდელი ფესტივალის წარმატებული დასასრული.

პროფესორი ლელა მასხუღია, თსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი: „ბედნიერი ვარ და ამაყი დღევანდელი დღით და ამ სპექტაკლით. მადლობელი ვარ ქალბატონი ნათიასი და სტუდენტების. ვულოცავ მათ გუნდს შესანიშნავ წარმატებას“.

ფესტივალის გვირგვინად კი ის ულამაზესი დღე იქცა, როცა თეატრალურმა დასმა და კომპეტენტურმა ჟიურმა, ფიორვერკების ფონზე, კიდევ ერთხელ აღინიშნა ნღევანდელი ფესტივალის წარმატებული დასასრული.

საინტერესოა, რომ ფესტივალის ვიდეოები სხვადასხვა ნომინაციაში დაიმსახურეს სტუდენტებმა; მათ შორის, ნომინაციაში „ფესტივალ ნილაბი – 2022-ის“ აღმოჩნა გახდნენ გეგა გალოგოვი და საბა მეტრეველი (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი); თბილისის მერიის რჩეულად ერნესტ შოვანისიანი დასახელდა, მხითარ შერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან; მამაკაცის მეორე ხარისხიანი როლის საუკეთესო შემსრულებლად ლეო ჩერქეზია (ცნეს – საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან – SEU); ქალის მეორეხარისხიანი როლის საუკეთესო შემსრულებლად თსუ-დან – მარიამ ფხალაძე და ავთანდილ ყინციყიძე – მამაკაცის დრამატული როლის საუკეთესო შესრულებისთვის, დასახელდნენ; ანა კლავატი – საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ – SEU-დან, ქალის დრამატული როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა, გიორგი ჭანტურია – ASTA-ის რჩეული გახდა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); მამაკაცის ეპიზოდური როლის საუკეთესო შემსრულებელი ნიკოლოზ ქაქარაძე გახდა თსუ-დან, ანანო ქარუმიძე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტ – GIPA-დან, ქალის ეპიზოდური როლის საუკეთესო შემსრულებელი გახდა.

დარეჯან კომლაძე



კიდევ ერთი გაგანჯვება



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა შორის, მინი-ფეხბურთის ტურნირების გამართვის თვალსაზრისით, უდავოდ, ლიდერის პოზიცია უჭირავს.

ტურნირი ჩვენი „ლიმის ბიჭების“ პატივსაცემად



სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა ტურნირი კარტინგში, რომელსაც სტუდენტების დიდი დაინტერესება და გამოხმაურება მოჰყვა, რეგისტრაცია გააიარა 300-მა სტუდენტმა, ამთავან მონაწილეობა მიიღო 50-მა.

თსუ-ის ხელმძღვანელობის დამსახურებით, ასევე, სპორტის ცენტრის ინიციატივით (დირექტორი ზაურ ფხალაძე), ფეხბურთის ნაკრები გუნდის მწვრთნელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ვახტანგ ბაქანიძის, აქტიურობით, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობის: ლადო გაბეჩავას, მარიამ მერაბიშვილის, თათა ლვინაძის მხარდაჭერით, გაიმართა შიდასაუნივერსიტეტო ტურნირი მინიფეხბურთში, რომელიც 1992-1993 წლებში, აფხაზეთში, ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული სტუდენტების: ვასილ კილაძის, ილია მელაძის, გიორგი მიროტაძის, რევაზ მუშლაძის,

შეჯიბრი ხალისიანად და ენერგიულად მიმდინარეობდა. შემდგომ ტურნირში მონაწილეობის სურვილი ბევრმა სტუდენტმა გამოთქვა. გამარჯვებულთა შორის გამოვლინდნენ I, II, III ადგილზე გასული სტუდენტები: ლუკა აფციაური (I ადგილი, 31.716); შალვა მღებრიშვილი (II ადგილი, 31.792); კარო წარუკიანი (III ადგილი, 32.443).

ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გუნდები – „ზესტაფონი“ და „მენდა“. საბოლოო გამარჯვება – 3:1 გუნდ „ზესტაფონს“ დარჩა. გამარჯვებული გუნდიდან სამივე ბურთი რატი ლეჟავამ გაიტანა, მეორე გუნდიდან კი 1 – კონსტანტინე (კოკი) ჯინჭარაძემ.

სტუდენტური თვითმმართველობა ულოცავს გამარჯვებულებს და მომავალში მრავალფეროვან სახალისო და ფერად დღეებს გპირდებათ.

ნიკოლოზ ლიბრაძის ნათელ სსოვნას მიეძღვნა. ტურნირზე მონაწილე იყვნენ ჩვენი „ლიმის ბიჭების“ მშობლები, ბატონები ლევან მიროტაძე და ავთანდილ ლიბრაძე.

ტურნირში თსუ-ის მინი-ფეხბურთელთა ოცმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. თამაშები წრიული სისტემით გაიმართა. მესამე საპრიზო ადგილისთვის ერთმანეთს უცხოურენოვანი ფაკულტეტის გუნდი – „ფერ-მეურები“ და „თსუ-იუნაიტედი“ შეხვედნენ, სადაც ქართველმა სტუდენტებმა შეძლეს წარმატების მიღწევა, ანგარიშით – 6:2.

პაატარიანე შუბითიძე, მადიციის ფაკულტეტის მე-7 სამსტრის სტუდენტი

ტურნირის საუკეთესო მეკარეებად თსუ-ის ფეხბურთის ნაკრების გუნდის კაპიტანი, მეკარე თორნიკე ფუტყარაძე და, ასევე, ანდრია გაბრიჩიძე დასახელდნენ, საუკეთესო მცველად – მირიან ჯაფიაშვილი; ტურნირის ბომბარდირი, 12 გატანილი გოლით, გოგა ლობჯანიძე გახდა, ტექნიკური ფეხბურთელი – რატი ლეჟავა; ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად გუნდ „მენდას“ კაპიტანი კონსტანტინე (კოკი) ჯინჭარაძე აღიარეს.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
 რედაქტორი ლელა მუჟავენიანი
 კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27 დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97 ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu